ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა „განათლების მეცნიერებები “

ლელა კიკნაძე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ძველი და ახალი სტანდარტების შეპირისპირებითი ანალიზი

ნაშრომი შესრულებულია განათლების მეცნიერებების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: რუსუდან სანაძე,

თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული
პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი

2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეხება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს და პროცედურებს, იკვლევს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის სამსახურების დამოკიდებულებას ავტორიზაციის სტანდარტებთან. საზოგადოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ავტორიზაციის პროცესს. ავტორიზაცია განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის გარე მექანიზმია და ავტორიზაციის სტანდარტების სრულყოფილად დაკმაყოფილება უსდ-ის მიზანია. 2017 წელს განხორციელებული რეფორმის ფარგლებში შეიცვალა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები და პროცედურები. უსდ-ები 3-ის ნაცვლად ფასდებიან 7 სტანდარტის მიხედვით. ახალი სტანდარტები არის ევროპის განათლების სივრცის მოთხოვნის შესაბამისი, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებლად უწევთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს. სტანდარტების ცვლილების შედეგად გამოწვეულმა სირთულეებმა გამოწვევების წინაშე დააყენა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. ახალი სტანდარტები ძველისგან განსხვავებით უფრო სიღრმისეულად, სრულყოფილად და კომპლექსურად აფასებენ დაწესებულებას. ამრიგად საკითხის **აქტუალობას** განაპირობებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების ცვლილება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განვიხილეთ ავტორიზაციის პროცედურებთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაციები, მოვიძიეთ კვლევები და გავარკვიეთ, რომ აღნიშნული საკითხი არავის უკვლევია. აქედან გამომდინარე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ძველი და ახალი სტანდარტების შეპირისპირებით ანალიზთან დაკავშირებით კვლევა არ ჩატარებულა, ამიტომ წინამდებარე კვლევა ორიგინალურია და **სიახლეს** წარმოადგენს.

სამაგისტრო ნაშრომის **მიზანია**, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ძველი და ახალი სტანდარტების კვლევა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

- ✓ სამაგიდე კვლევა: არსებული კვლევები, საკანონმდებლო ბაზა;
- ✓ კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
- ✓ კვლევის ინსტრუმენტის შემუშავება;
- ✓ ემპირიული კვლევის ჩატარება;
- ✓ დასკვნებისა და რეკომენდაციის შემუშავება.

ნაშრომის კვლევის **საგანია** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ძველი და ახალი სტანდარტების ურთიერთმიმართების კვლევა, ხოლო **ობიექტი** - აღნიშნული სტანდარტების პრაქტიკული რეალიზების პროცესი.

ნაშრომში გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის **მეთოდი**, კერძოდ, სტანდარტებისა და ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებების ანალიზი და ჩაღრმავებული ინტერვიუ. რესპონდენტებად მიზნობრივად შეირჩა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აგრარული უნივერსიტეტისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტების ხარისხის სამსახურის წარმომადგენლები.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ განსხვავებული მდგომარეობაა საქართველოში არსებულ სახელმწიფო და კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებში ავტორიზაციის სტანდარტების ცვლილებით გამოწვეულ შედეგებში. სახელმწიფო უნივერსიტეტები მწირი ფინანასური რესურსის ფარგლებში ვერ ახერხებენ სტანდარტების სრულყოფილად დაკმაყოფილებას, მაღალშემოსავლიანი კერძო უნივერსიტეტებისგან განსხავებით.

კვლევამ აჩვენა, რომ უსდ-ებს ესაჭიროებათ გარკვეული პერიოდი (დაახლოებით 5-10 წელი) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ახალ სტანდარტებში ჩადებული მოთხოვნების სრულყოფილად დასაკმაყოფილებლად და ევროპულ სტანდარტებთან რეალურად მისაახლოებლად.

Kiknadze Lela

Controversial analysis of old and new standards of authorization of higher education institutions

Annotation

Master's thesis concerns the authorization standards and procedures of higher education institutions, it examines the study of higher education institutions' attitudes towards the standards of authorization procedures. In general speaking, authorization process is crucial for the functioning of higher education institutions. Authorization is an external mechanism for promoting educational quality development and the goal of the HEI is to satisfy the authentication standards. The authorization standards and procedures of higher education institutions have been changed according to the reforms implemented in 2017 year. HEIs now are rated according to the 7 standards instead of 3. The new standards are relevant to the requirements of the European Education Area, which are essential to be satisfied by the higher educational institutions. The difficulties caused by changes in the abovementioned standards have raised and stated numerous challenges for higher education institutions. The new standards have more depth, are much more perfected and complexed, than the old ones. Accordingly, the condition of issue's **actuality** is demanded from changing the authorization standards for higher education institution.

In this regard, we discussed the legislative regulations regarding authorization procedures, we searched for surveys and found out that no one had ever made that kind of research. Moreover, research on the analysis of the old and new standards of authorization of the higher education institutions has not been conducted. As a result, this research is original and is pure **novelty**.

Master's **goal** is to study old and new standards of authorization of higher educational institutions. To accomplish this goal, we set the following tasks:

- ✓ Board research: existing research, legislative base;
- ✓ Determination of research methodology;
- ✓ Development of research's tools;
- ✓ Conducting empirical researches
- ✓ Developing conclusions and recommendations.

The **subject** of research is to determine the relationship between old and new standards of authorization of higher educational institutions, however, the **object** of the research is to gain the practical realization of mentioned standards.

During the work we used the qualitative research **method**, namely, we made in-depth interviews, and used the analysis of the "Standards and Authorization Board Decisions". During the survey's our respondents were the representatives of Quality Service of following universities: Tbilisi Ivane Javakhishvili state university, Agricultural University, and Sokhumi State University.

As a **result** of the research, it has been revealed that the situation, in regard of the results of the changes made in authorization standards, is quite different in the state and private higher education institutions existing in Georgia. In contrast of high-profile private universities, state universities are not able to fully satisfy the standards, as a result of the scarce financial resources.

The research indicated that the HEIs need a certain amount of period (about 5-10 years), to perfectly satisfy the all the necessary requirements demanded from the new standards of higher educational institutions, and to get as remarkable as European standards.

სარჩევი

შესავალი 7

ტერმინთა განმარტება 10

თავი I – წარსულის გამოცდილება და თანამედროვე ტენდენციები - საქართველო - ბოლონიის პროცესი 13

§ 1.1 საქართველოს უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებათა განვითარების ისტორია და საერთაშორისო კონტექსტი 13

§ 1.2 უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები და მათი ხელისშემწყობი ორგანიზაციები - ENQA, ESU, EURASHE, EUA, EI, EQAR 17

§ 1.3 უმაღლესი განათლების ხარისხის სამსახურებისა და ავტორიზაციის პროცედურების ისტორიული მიმოხილვა 22

თავი II - საერთაშორისო გამოცდილება - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური აკრედიტაცია 26

§ 2.1 დიდი ბრიტანეთი (ინგლისი, უელსი და ჩრდ. ირლანდია) 26

§ 2.2 ესტონეთი 29

თავი III - საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა ავტორიზაციის თანმდევი ტენდენციები 31

§ 3.1 ავტორიზაციის ძველი და ახალი სტანდარტების შედარებითი ანალიზი-უმაღლესი განათლების პოლიტიკის ანალიზი ხუთი სტრატეგიული მიმართულების მიხედვით 31

§ 3.2 ავტორიზაციის პროცედურების მიმოხილვა 39

§ 3.3 ავტორიზაციის საბჭოს ფუნქცია-მოვალეობები 44

კვლევითი ნაწილი 47

დასკვნები 80

რეკომენდაციები 82

ბიბლიოგრაფია 84

დანართი 1

დანართი 2

დანართი 3

დანართი 4

დანართი 5

შესავალი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ავტორიზაციის პროცესს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაცია განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის გარე მექანიზმია და პროცესს ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. ავტორიზაცია ინსტიტუციონალური შეფასებაა, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულების შესაბამისობას ავტორიზაციის სტანდარტებთან. ავტორიზაციის სტანდარტების სრულყოფილად დაკმაყოფილება უსდ-ის მიზანია. ჩვენი ინტერესის საგანია მოვახდინოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების ანალიზი.

საქართველოში უმაღლესი განათლების რეფორმის ფარგლებში შემოთავაზებული ავტორიზაციის განახლებული სტანდარტებით, რომელიც 2017 წლამდე არსებული სამი სტანდარტის ნაცვლად, 7 სტანდარტისა და 19 ქვესტანდარტის დაკმაყოფილებას გულისხმობს, საქართველოში ავტორიზაცია აქამდე სულ 28 უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გაიარა. მათგან ავტორიზაცია მხოლოდ 24–მა უმაღლესმა საგანმანათლებო დაწესებულებამ მიიღო, რაც თავის მხრივ მაჩვენებელია სტანდარტების ცვლილებით გამოწვეული სირთულეებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების არასაკმარისი მზაობის. სწორედ ამ ფაქტორმაც გამოიწვია ჩვენი დაინტერესება ავტორიზაციის განახლებული სტანდარტებით.

თემის აქტუალობას განაპირობებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების ცვლილება. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის რეფორმის ფარგლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. რეფორმის მიზანს შეადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის გაუმჯობესება და სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა.

რეფორმის შედეგად შეიცვალა უმაღლესი განათლების ხარისხის შეფასების სისტემა. ავტორიზაციის სტანდარტები და პროცედურები შესაბამისობაში მოვიდა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან.

სისტემა გახდება მიმზიდველი, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი სტუდენტებისთვის, გამარტივდება განათლების საერთაშორისო აღიარების პროცესი, გაცვლითი და ერთობლივი საგანმანათლებლო და კვლევითი პროგრამების განხორციელება. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებების ანალიზი, ამასთან თავად უსდ-ის შეფასება ავტორიზაციის ახალი სტანდარტების, მათი თვალსაზრისი განახლებულ სტანდარტებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია დადგინდეს არსებობს თუ არა კიდევ პრობლემური საკითხები, განსხვავებული ხედვები და უნივერსიტეტების მხრიდან რეკომენდაციები.

ჩვენი **კვლევის სიახლე** იქნება ის, რომ ახალი სტანდარტების დანერგვის შემდგომ არ ჩატარებულა კვლევა სტანდარტების რეალიზების შესახებ. სტანდარტების ცვლილების შემდგომ, აქამდე არ ყოფილა მცდელობა ძველი და ახალი სტანდარტების კორელაციის დადგენისა. კვლევაში გამოჩნდება უსდ-ების დამოკიდებულება სტანდარტებისადმი, რას მიიჩნევენ საქართველოში დღეს არსებულ მდგომარეობაში შესრულებად და რას შეუსრულებელ კრიტერიუმად. ამასთან განხილული იქნება ავტორიზაციის ძველი და ახალი სტანდარტების მოქმედების დროს ექსპერტთა დასკვნებისა და ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებები, რომელიც თავის მხრივ მომავალში ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს გაუწევს დახმარებას.

რაც შეეხება **კვლევის მიზანს**, ჩვენი კვლევის მიზანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ძველი და ახალი სტანდარტების შეპირისპირებითი ანალიზი.

კვლევის ამოცანებია მეორეული ინფორმაციის დამუშავება/არსებული ლიტერატურის მიმოხილვა საქართველოსა და უცხო ქვეყნის მაგალითზე, ინსტრუმენტის შემუშავება, ემპირიული კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება, კვლევა, კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი, დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

ნაშრომის კვლევის **საგანია** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ძველი და ახალი სტანდარტების ურთიერთმიმართების კვლევა, ხოლო **ობიექტი** - აღნიშნული სტანდარტების პრაქტიკული რეალიზების პროცესი.

ნაშრომში გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის **მეთოდი**, კერძოდ, სტანდარტებისა და ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებების ანალიზი და ჩაღრმავებული ინტერვიუ.

რესპონდენტებად მიზნობრივად შეირჩა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აგრარული უნივერსიტეტისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტების ხარისხის სამსახურის წარმომადგენლები. აღნიშნული კვლევის შედეგები დეტალურადაა მოცემული წინამდებარე ნაშრომში.

ტერმინთა განმარტება

- **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება** – უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი სასწავლო ან სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა, რომლის ძირითადი ფუნქციაა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობისა და სამეცნიერო კვლევების ან უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, ამასთან შემოქმედებითი მუშაობის წარმართვა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შედგება ძირითადი საგანმანათლებლო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან და ანიჭებს შესაბამის კვალიფიკაციას;
- **კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება დაფუძნდეს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობა კანონმდებლობით დადგენილი წესით, სხვა დამოუკიდებელი იურიდიული პირის შექმნის გარეშე. (საქართველოს კანონი„ მეწარმეთა შესახებ“, თავი III)
- **ავტორიზაცია** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა;
- **აკრედიტაცია** – ეს არის პროცესი, როდესაც ხდება აკრედიტაციის სტანდარტებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის განსაზღვრა, აკრედიტაციის მიზანია განათლების ხარისხის ასამაღლებლად სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა, აკრედიტაციასთანაა დაკავშირებული სახელმწიფო დაფინანსების მიღება.
- **ინტერნაციონალიზაცია** - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მნიშვნელოვანი ეტაპია, რადგან იგი გულისხმობს უმაღლესი განათლების სარისხის

განვითარებას. ცოდნის თარგმნა და აღქმადობა, ნიჭიერების მობილიზება გლობალური კვლევებისა და სასწავლო პროგრამების ფორმირება ხდება საერთაშორისო კონტექსტში, რაც განიხილება ინტერნაციონალიზაციის სასარგებლო და დადებით ფაქტორად. (Tahira Jibeen, 2015)

- **აკადემიური საბჭო** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;
- **სტუდენტი** – არის პირი, რომელიც ამ კანონითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად, დამატებით პირი, რომელიც ჩარიცხულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელიც ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ასრულებს სასწავლო კომპონენტის ან კვლევითი კომპონენტის ნაწილს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში/საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – უნივერსიტეტთან არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში/ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში;
- **უდს** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- **თსუ** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- **ESG** – „უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები“
- **ENQA** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია

- **ESU-** ევროპის სტუდენტთა კავშირი
- **EUA -** ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია
- **EURASHE -** ევროპის უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ასოციაცია
- **EQAR-** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული რეესტრი

თავი I – წარსულის გამოცდილება და თანამედროვე ტენდენციები - საქართველო - ბოლონიის პროცესი

§ 1.1 საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა განვითარების ისტორია და საერთაშორისო კონტექსტი

მსოფლიომ უდიდესი გზა განვლო დღევანდელი განათლების სისტემის შექმნამდე. ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში არსებობდა უმაღლესი განათლების მიღების სხვადასხვა ფორმა. სანამ მიმოვიხილავთ ისტორიულ კონტექსტს, მართებულად მიგვაჩნია განვმარტოთ ტერმინი განათლება. თანამედროვე მეცნიერული გაგებით განათლება არის სისტემური, მეცნიერული ცოდნის შეძენის პროცესი და შედეგი. (ჭკუასელი, 2012). იგი მოიაზრებს ადამიანის მიერ ცოდნის დაუფლებას, რის საფუძველზეც მას უყალიბდება და უვითარდება გარკვეული უნარ-ჩვევები, ითვისებს კაცობრიობის მიერ სხვადასხვა დარგში დაგროვილ ცოდნას. იგი ადამიანს საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის ამზადებს, რათა მან სოციუმის მოთხოვნები დააკმაყოფილოს, მიწვდეს ეროვნულ მონაპოვარს და შეძლოს ამავე სოციუმში თვითდამკვიდრება. უმაღლესი განათლება კი განისაზღვრება, როგორც სრული ზოგადი განათლების შემდგომი განათლება, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საფეხურის შესაბამისი კომპეტენციის გამომუშავებას და დასტურდება კვალიფიკაციის შესაბამისი დოკუმენტით. (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ.)

2003 წლის გრაცის დეკლარაციის მიხედვით უმაღლესი განათლება უპირველეს ყოვლისა განიხილება, უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა, რათა შენარჩუნებულ იქნეს ძირითადი აკადემიური და სამოქალაქო ღირებულებები, გაუმჯობესდეს მიღწევების დონე და ხელი შეუწყოს უნივერსიტეტებს შეასრულონ მნიშვნელოვანი პარტნიორული როლი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების საქმეში. (გრაცის დეკლარაცია, 2010)

ისტორიულად, უნივერსიტეტის მსოფლიო ტრადიცია ყოველთვის ეყრდნობოდა მაღალ მორალურ და ინტელექტუალურ ფასეულობებს. სახელმწიფო ქმნიდა განათლების

ცენტრებს, რომლებსაც გარკვეული მისია და მიზანი გააჩნდათ. საკუთრივ უნივერსიტეტის ისტორია იწყება შუა საუკუნეებიდან, რაც ევროპის ქვეყნებში ეკონომიკისა და კულტურის განვითარებასთანაა პირდაპირ კავშირში. პირველი საერო უნივერისტეტი, 1158 წელს დაარსდა იტალიის ქალაქ ბოლონიაში. საინტერესოა რომ უნივერსიტეტის მიზანი და ამოცანები საზოგადოების დაკვეთით იცვლებოდა დროთა განმავლობაში. XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე, ვილჰემ ჰუმბოლტის მიერ წაყენებული ახალი იდეა ა)კვლევის ორიენტაციისა და სწავლების შეხამება და ბ)სახელმწიფოს მხრიდან მოსწავლისა და მასწავლებლის თავისუფლების უზრუნველყოფა საფუძვლად დაედო ევროპულ და ამერიკულ უნივერსიტეტთა უმრავლესობას. (გეგეშიძე, 2012)

საქართველოში პირველი უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ დაარსდა 1918 წელს, რომელიც კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი იყო. 1991 წლამდე საქართველოში მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დაფუნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები არსებობდა. 1991 წლიდან კი კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსაც მიეცათ ფუნქციონირების უფლება, თუმცა მათთვის საქმიანობის განსახორციელებლად სავალდებულო იყო საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების უფლების-ლიცენზიის მოპოვება. ლიცენზიის ფლობა თვისთავად წარმოადგენდა აღიარებული საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის წინაპირობას. ლიცენზირებით დაწესებულების შესაბამისობა მოწმდებოდა სახელმწიფოს დადგენილ სტანდარტებთან, მათ შორისაა პროგრამული სტანდარტებით.

90-იან წლებში საქართველოში 26 სახელმწიფო და 218 კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებდა. რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას დღეს საქართველოში რეგისტრირებულია 75 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელთაგანაც სახელმწიფო არის 20, ხოლო კერძო 55.

კერძო უნივერსიტეტების რაოდენობის ზრდა მსოფლიო სენია. სტანეკისა და ზიეგელის აზრით, კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების მკვეთრი რაოდენობით ზრდა განპირობებულია სახელმწიფო სექტორის მარცხით უმაღლესი განათლების ისეთ

სფეროებში როგორიცაა: სამართალი, ეკონომიკა და სოციალური მეცნიერებები. (Ziegele, 2007)

აღნიშნულ დარგებში კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები ეყრდნობიან სპეციფიკური შინაარსის სწავლებასა და პრაქტიკულ გამოცდილებას ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, რითაც განპირობებულია კერძო სექტორის უპირატესობა სახელმწიფოსთან შედარებით, სადაც სწავლება მიმდინარეობს მოძველებულ ლიტერატურით, პრაგმატული ელემენტების გარეშე. ლევი დამატებით აღნიშნავს, რომ კერძო უნივერისტეტი არამხოლოდ მოთხოვნის შესაბამისი იყოს, არამედ მის მოთხოვნადობას განაპირობებდეს ის ფაქტი, რომ იგი სახელმწიფო სისტემისგან განსხავებულ განათლებას და პროცესს სთავაზობდეს. (Jones, 1992) გეიგერის მიხედვით მესამე ძირითადი მიზეზია კერძო უნივერსიტეტების მიზანი, რომ უზრუნველყონ უკეთესი განათლება. აქ შეიძლება დასახელდეს რამდენიმე სახის გარემოება. მაგალითად ლათინურ ამერიკაში კერძო უნივერსიტეტის მიერ უკეთესი განათლების მიცემა შესაძლოა გამოწვეული იყოს სახელმწიფო სექტორში განათლების ხარისხის კლებით. აქ სტუდენტები საშუალო კლასიდანვე ირჩევენ კერძო სექტორს, რომელიც პოლიტიკური გავლენებისგან თავისუფალია და სტუდენტებს კარიერული განვითარებისთვის ამზადებს. (Jones, 1992)

იმისთვის, რომ შეექმნათ ერთიანი ევროპული სივრცე უმაღლესი განათლებისათვის შედგა ბოლონიის პროცესი, რომელიც ემსახურება ევროპის ქვეყნების განათლების სისტემების დაახლოებისა და ჰარმონიზაციის პროცესს.

„ბოლონიის დეკლარაციას“ ხელი მოაწერა ევროპის 29 ქვეყნის უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელმა მინისტრმა 1999 წლის 19 ივნისს. „ბოლონიის დეკლარაციას“ ხელს აწერენ: ავსტრიის, ბელგიის, ბულგარეთის, ჩეხეთის, დანიის, ესტონეთის, ფინეთის, საფრანგეთის, გერმანიის, უნგრეთის, ისლანდიის, ირლანდიის, შვეიცარიის, იტალიის, ლატვიის, ლიტვის, საბერძნე თის,მალტის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების, ნორვეგიის, პორტუგალიის,რუმინეთის, პოლონეთის, სლოვაკეთის, სლოვენიის, ესპანეთის, შვედეთის, გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენლები. (ბოლონიის დეკლარაცია, 1999 წ.) აღსანიშნავია, რომ ყოველივეს საფუძველი ჩაეყარა უფრო ადრე - 1998 წელს სორბონის

კონფერენციის დეკლარაციით, რომელიც მიიღო საფრანგეთმა, გერმანიამ, დიდმა ბრიტანეთმა და იტალიამ.

ბოლონიაში განათლების მინისტრები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის (EHEA) ერთიან ხედვაზე შეთანხმდნენ. გადაწყვეტილება მიიღეს, რომ ეს ხედვა იყო პოლიტიკურად რელევანტური მათი ქვეყნებისათვის და ასახეს იგი ბოლონიის დეკლარაციის ოპერატიულ მიზნებში.

ბოლონიის პროცესმა, ნებაყოფლობითი შერწყმითა და მთავრობათაშორისი მიდგომით, შეძლო ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის ძირითადი პრინციპების შექმნა. შეიქმნა საერთო ჩარჩო, რომლებიც EHEA-ს კვალიფიკაციების ყოვლისმომცველ ჩარჩოს მოიცავს, საერთო კრედიტების სისტემას (ECTS), სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის განვითარების საერთო პრინციპებს, ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს, მოიცავს საერთო რეესტრს ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებისთვის და ევროპული უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციების შექმნილ საერთო მეთოდოლოგიებსა და მდგრად მიღწევებს. შეიქმნა მთელი რიგი საერთო ინსტრუმენტებისა, კერძოდ ECTS-ის მომხმარებელთა გზამკვლევი, დიპლომის დანართი, ლისაბონის აღიარების კონვენცია.

მარტივი განმარტებით ბოლონიის პროცესის მიზანია ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის (EHEA) შექმნა აკადემიური ხარისხის სტანდარტებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების ჰარმონიზებით თითოეული ფაკულტეტისათვის ევროპის მასშტაბით. (ბოლონიის დეკლარაცია, 1999)

ბოლონიის პროცესი მოიცავს ევროპის ქვეყნების მინისტრთა შეხვედრებისა და ევროპის ქვეყნებს შორის ხელშეკრულებების მთელ სერიას, რათა უზრუნველიყოს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების სტანდარტებისა და ხარისხის შედარება. რამდენიმე წელიწადში ერთხელ იმართება მინისტრთა კონფერენცია ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში (EHEA) მიღწეული პროგრესის შესაფასებლად და ახალი ნაბიჯების დასასახად.

ბოლონიის პროცესში ამჟამად ჩართულია ევროპის 49 ქვეყანა. საქართველო აღნიშნულ პროცესს როგორც აღვნიშნეთ შეუერთდა 2005 წელს, ბერგენის სამიტზე.

ბოლონიის პროცესის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლები არიან სამთავრობო, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებლების დონეზე.

პროცესის ძირითადი მონაწილეები არიან: ბოლონიის დეკლარაციაზე ხელმომწერი ქვეყნების უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრები; ევროსაბჭო; ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია (EUA), უმაღლესი პროფესიული განათლების ინსტიტუტები (EURASHE), ევროპის უნივერსიტეტების სტუდენტური კავშირი (ESU), ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო (ENQA), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (UNESCO); განათლების პან-ევროპული საერთაშორისო სტრუქტურა; ბიზნესევროპა. ბოლონიის პროცესში ჩართვის პერიოდიდან განისაზღვრა ხარისხის როგორც შიდა, ისე გარე უზრუნველყოფის აუცილებლობა საკანონმდებლო დონეზე რამაც თავის მხრივ ბიძგი მისცა მთელ რიგ პოზიტიურ ცვლილებებს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, აღსანიშნავია, რომ ცალკეულ შემთხვევებში პროცესი საკმაოდ მტკივნეულად წარიმართა. თავდაპირველად ხარისხის გარე უზრუნველყოფა საქართველოში ინსტიტუციურ და პროგრამულ აკრედიტაციას მოიცავდა.

§ 1.2 უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები და მათი ხელისშემწყობი ორგანიზაციები - ENQA, ESU, EURASHE, EUA, EI, EQAR

უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელმა მინისტრებმა 2005 წელს მიიღეს დოკუმენტი, “უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები”, რომელიც მოამზადა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულმა ასოციაციამ (ENQA) ევროპის სტუდენტთა ასოციაციასთან (ESU), ევროპის უმაღლესი განათლების ინსტიტუტების

ასოციაციასა (EURASHE) და ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციასთან (EUA) თანამშრომლობით.

უმაღლესი განათლების სფეროში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, 2012 წლის მინისტერიალის კომუნიკემ E4 ჯგუფს (ENQA, ESU, EUA, EURASHE), ისეთ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, როგორებიც არიან საერთაშორისო განათლება (EI), ბიზნესევროპა და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული რეესტრი (EQAR), შესთავაზა მოემზადებინა საწყისი წინადადებები "უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების" (ESG) რევიზიისთვის, რათა "გაუმჯობესდეს მისი მკაფიოობა, გამოყენება და გამოსადეგობა, მათ შორის მისი მოქმედების სფეროც".

რევიზიის პროცესმა მოიცვა რამდენიმე საკონსულტაციო ციკლი ძირითადი დაინტერესებული ორგანიზაციებისა და სამინისტროების მონაწილეობით. სამუშაო ჯგუფმა ამ პროცესში მიღებულ წინადადებებს, კომენტარებსა და რეკომენდაციებს ძალიან სერიოზული ყურადღება მიაქცია და დეტალურად გაანალიზა. ყოველივე ზემოაღნიშნული აისახა წინამდებარე დოკუმენტში - "უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები - 2015" (ESG).

უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელმა მინისტრებმა 2015 წლის მაისში მიიღეს "უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები - 2015" (შემდგომში ESG).

რაც შეეხება კონტექსტს, მოქმედების სფეროს, მიზნებსა და პრინციპებს შევნიშნავთ, რომ შემუშავების კონტექსტი არის უმაღლესი განათლება, კვლევა და ინოვაცია, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს სოციალური ინტეგრაციის, ეკონომიკური ზრდისა და გლობალური კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობის საქმეში. უმაღლესი განათლება არის ის კომპონენტი, რომელიც უმნიშვნელოვანესია სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის. ამასთან, უნარებსა და კომპეტენციებზე მზარდი მოთხოვნა უმაღლეს განათლებაში საჭიროებს სიახლეების განხორციელებას.

უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მრავალფეროვანი ინდივიდუალური გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობას აძლევს. უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული მრავალფეროვნებასა და მაღალ მოლოდინებზე რეაგირება ფუნდამენტურ ცვლილებებს მოითხოვს მათ საქმიანობაში. კერძოდ, მოითხოვს უფრო მეტად სტუდენტებზე ორიენტირებულ მიდგომას სწავლასა და სწავლებაში; მოქნილი სასწავლო გზების შემოღებასა და ფორმალური კურიკულუმის ფარგლებს გარეთ მიღებული კომპეტენციების აღიარებას. თავად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უფრო მრავალფეროვნები გახდნენ თავიანთი მისიების, საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისა და კოოპერაციის ფორმების მხრივ მათ შორის ინტერნაციონალიზაციის ამაღლებით, ციფრული სწავლისა და განათლების გადაცემის ახალი ფორმებით. ხარისხის უზრუნველყოფა გადამწყვეტ როლს ასრულებს უმაღლესი განათლების სისტემებისა და დაწესებულებების მიერ ამ ცვლილებებზე რეაგირების ხელშეწყობაში და პარალელურად უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ მიღწეული კვალიფიკაციებისა და უმაღლეს განათლებაში მიღებული გამოცდილების დაწესებულების მისიასთან შესაბამისობას.

ESG-ის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს სწავლასა და სწავლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ერთიან გაგებას, როგორც საზღვრებს მიღმა ასევე სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის. უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცესა და ტრანსნაციონალურ კოოპერაციაში ESG ასრულებდა და კვლავაც შეასრულებს მნიშვნელოვან როლს ეროვნული და ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების განვითარებაში. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში, განსაკუთრებით კი ხარისხის გარე უზრუნველყოფაში, ჩართვით ევროპის უმაღლესი განათლების სისტემებს საშუალება ეძლევათ მოახდინონ ხარისხისა და მზარდი გამჭვირვალობის დემონსტრირება და ამით დაეხმარონ ურთიერთნდობის ჩამოყალიბებასა და მათი პროგრამების, კვალიფიკაციებისა და სხვა საკითხების აღიარების გაუმჯობესებას.

ESG-ს დაწესებულებები და ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოები იყენებენ, როგორც რეფერირების დოკუმენტს უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა და გარე

უზრუნველყოფის სისტემებისთვის. უფრო მეტიც, მას იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული რეესტრი (EQAR), რომელიც პასუხისმგებელია ESG-ს მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფ ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების რეესტრზე.

რაც შეეხება ENQA-ს იგი დაარსდა 2000 წელს, 2004 წლიდან, ორგანიზაციის სახეცვლილების შემდგომ მისი მისიაა შეინარჩუნოს და განავითაროს ევროპული უმაღლესი განათლების ხარისხი. ENQA არის უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა ბოლონიის პროცესის ხელმომწერ ქვეყნებში. მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის შენარჩუნებისა და ამაღლების პროცესში. თავის წევრ ორგანიზაციებს უზიარებს ინფორმაციას, გამოცდილებასა და საუკეთესო მაგალითებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით.

ENQA არის პარტნიორობაზე დაფუძნებული ორგანიზაცია, რომელიც თავის წევრებს უზიარებს ინფორმაციას, არა მხოლოდ ევროპაში, არამედ მთელს მსოფლიოში. ENQA აქვს გაწერილი ის სტანდარტები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ ის ორგანიზაციები, ვისაც სურთ მასში გაწევრიანება. ხოლო იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც არ სურთ, ან ვერ აკმაყოფილებენ ENQA-ს დაწესებულ სტანდარტებს შეუძიათ ისარგებლონ ENQA-ს აფილირებული ორგანიზაციის სტატუსით.

ENQA-ს გააჩნია სამი ძირითადი ფუნქცია ესენია:

- ✓ წარმოადგინოს თავისი წევრები ევროპის და მსოფლიოს მასშტაბით, გასაკუთრებით პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და მმართველ ორგანიზაციებთან მოლაპარაკებების დროს.
- ✓ იფუნქციონიროს, შექმნას და დახვეწოს ხარისხის მართვის პროცედურები და სისტემები. როგორც EHEA- შიგნით ისე მის ფარგლებს გარეთ.
- ✓ იფუნქციონიროს, როგორც ინფორმაციის მიმღებმა და გამცემმა ორგანომ თავის წევრებს, დაინტერესებულ პირებსა და პარტნიორებს შორის.

იმისთვის, რომ მიაღწიოს ზემოაღნიშნულ მიზნებს ENQA აგროვებს და ინახავს ინფორმაციას საუკეთესო პრაქტიკის და ახალი მიგნებების საფუძველზე, რათა გაზარდოს წევრების რაოდენობა. ENQA ატარებს კონფერენციებს, სამუშაო შეხვედრებს, სემინარებს, საერთაშორისო პროექტებს ხარისხის მართვის კონტექსტში.

ENQA-ს ელექტრონული გვერდი დატვირთულია მნიშვნელოვანი ინფორმაციით, სადაც შეგვიძლიათ მოვიძიოთ: შეხვედრების ანგარიშები, განცხადებები და სხვა.

ENQA არის ერთ-ერთი დამფუძნებელი EQAR-ის, რომელიც 2008 წელს დაარსდა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი დაარსების დღიდან აქტიურად ჩაერთო უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) ღონისძიებებში.

2013 წლის 22 ნოემბერიდან 2019 წლის 25 აპრილამდე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აფილირებული ორგანიზაციის სტატუსით სარგებლობდა.

ცენტრმა 2018 წლის თებერვალში ოფიციალური განაცხადი გააკეთა ENQA-ში გაწევრიანების შესახებ, 21 აგვისტოს კი წარადგინა თვითშეფასების ანგარიში.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო 2019 წლის 25 აპრილს და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მიენიჭა ENQA-სწევრის სტატუსი ხუთი წლის ვადით. საბჭომ დასკვნით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან (ESG 2015) და ამასთან ერთად აკმაყოფილებს ENQA-ს წევრობის კრიტერიუმებს. (Self-Assessment Report for the ENQA Review, 2018)

§ 1.3 უმაღლესი განათლების ხარისხის სამსახურებისა და ავტორიზაციის პროცედურების ისტორიული მიმოხილვა

დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებიდან მოყოლებული, საქართველოს განათლების სისტემა მუდმივ ცვლილებებსა და რეორგანიზაციულ - სარეფორმო პროცესებშია. ყველა პროცესი ინერციული და სპონტანური გადაწყვეტილებების ფონზე მიმდინარეობდა და მიმდინარეობს.

ბოლონიის პროცესში ჩართვის პერიოდიდან განისაზღვრა ხარისხის როგორც შიდა, ისე გარე უზრუნველყოფის აუცილებლობა საკანონმდებლო დონეზე, რამაც თავის მხრივ, ბიძგი მისცა მთელ რიგ პოზიტიურ ცვლილებებს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, აღსანიშნავია, რომ ცალკეულ შემთხვევებში პროცესი საკმაოდ მტკივნეულად წარიმართა. თავდაპირველად ხარისხის გარე უზრუნველყოფა საქართველოში ინსტიტუციურ და პროგრამულ აკრედიტაციას მოიცავდა. 2004 წელს დაიწყო ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცესი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, შემდგომში 2006 წლის 27 მარტს ამ მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №222 ბრძანებით, დაფუძნდა სსიპ საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახური, შემდგომში - განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრი, რომელიც უფლებამოსილი იყო, ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაცია განეხორციელებინა უმაღლეს, პროფესიულ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. ხარისხის პერსპექტივიდან, ეს იყო პირველი რეფორმა, რომელმაც აქცენტი გააკეთა ხარისხის მნიშვნელობაზე უმაღლეს განათლებაში. პირველი რადიკალური ცვლილებები, რაც აკრედიტირების პროცესს მოჰყვა, ჩატარდა 2005-2006 წლებში და საქართველოში რეგისტრირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები განახევრდა, 2006-2007 წელს კი 227 უნივერსიტეტიდან მხოლოდ 43-მა მოიპოვა აკრედიტაცია 5 წლით. (Jibladze, 2013) 2004-2010 წლებში საგანმანათლებლო დაწესებულებას სტატუსის მოეპოვებლად სავალდებულო იყო ლიცენზირებისა და ინსტიტუციური აკრედიტაციის გავლა. ლიცენზირებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ხოლო

აკრედიტაციას - სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი ახორციელებდა. უსდ 5 წლის მანძილზე ფუნქციონირებდა აკრედიტებულის რეჟიმში. 2010 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრსი N89 ბრძანების საფუძველზე აკრედიტაციის ცენტრი გახდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში განათლების ხარისხის ცენტრი). ცვლილება 2010 წლის 1 სექტემბრის "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე განხორციელდა 2010 წელს "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად სავალდებულო ლიცენზირების ნაცვლად შემოღებულ იქნა **ავტორიზაციის** პროცედურა, ხოლო აკრედიტაციის შინაარსში შევიდა ცვლილება. 2010 წლიდან აკრედიტაცია ადგენს აკრედიტაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას, რომლის მიზანია განათლების ხარისხის ასამაღლებლად სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა. აღსანიშნავია, რომ ავტორიზაცია სავალდებულო ხასიათს ატარებს, ხოლო აკრედიტაცია ნებაყოფლობითია, თუმცა მის მიმართ უსდ-ების ძალიან დიდ ინტერესს განაპირობებს ის ფაქტი, რომ საქართველოს კანონმდებლობით სახელმწიფო დაფინანსების მოპოვება შეუძლიათ მხოლოდ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტებს. 2007-2008 წლამდე აკრედიტებულის რეჟიმში ფუნქციონირებდა 119 უსდ, ხოლო ინსტიტუციური აკრედიტაციის შედეგად მათი რაოდენობა შემცირდა 43-მდე (15 - სახელმწიფო, ხოლო 28 - კერძო). 2007 წლიდან ვითარება შეიცვალა და თანდათანობით იმატა სახელმწიფოს მიერ აღიარებული უსდ-ების რიცხვმა. 2010 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ ავტორიზებული უსდ-ების რაოდენობამ შეადგინა 64 (25 უნივერსიტეტი, 28 სასწავლო უნივერსიტეტი, ხოლო 11 კოლეჯი) 2013 წლის სექტემბრის მონაცემებით 64 უსდ-ა ავტორიზებული (26 - უნივერსიტეტი, 30 -სასწავლო უნივერსიტეტი, 8- კოლეჯი). (უმაღლესი განათლების პოლიტიკის ანალიზი ხუთი სტრატეგიული მიმართულების მიხედვით 2013 წ.)

უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის გარე უზრუნველყოფის არსებული სისტემის პირობებში, ავტორიზებული უსდ-ების რაოდენობის ზრდა განპირობებულია ერთის მხრივ

თავად დაწესებულებების ინსტიტუციური განვითარების უფრო მაღალი ხარისხით, და მეორეს მხრივ შეფასების პროცესის ცალკეული ხარვეზებით. 2008 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაკვეთით ჩატარდა კვლევა, განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტმა ჩაატარა კვლევა უმაღლესი განათლების რეფორმის შეფასების მიზნით. კვლევის შედეგები შეეხო ხარისხის გარე უზრუნველყოფის სისტემასა. უმაღლესი განათლების სისტემაში არსებულ პრობლემად ჩაითვალა ნდობის სიმცირე ქართული უსდ-ების მიმართ, ხოლო ამ პრობლემის აღმოფხვრის ერთ პერსპექტიულ საშუალებად კი დასახელდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ინტერნაციონალიზაცია და პროგრამული აკრედიტაცია როგორც ხარისხიანი უმაღლესი განათლების გარანტი. ამასთან, ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გამოითქვა რეკომენდაციები: ა) ფორმალურად დაკმაყოფილდა ყველა მოთხოვნა, მაგრამ საჭიროა აქტივობების შინაარსობრივი გააზრება და ხარისხის რეალური კონტროლი; ბ) საჭირო გახდა უნივერსიტეტების ავტონომიურობის ზრდა ხარისხის გაუმჯობესების სტრატეგიის შემუშავების და განხორციელების პროცესში.

2006-2007 წლებში, აღნიშნული კვლევის ჩატარებამდე, სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრმა სცადა ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცესის რეფორმირება და პროგრამული აკრედიტაციის შემოღება, თუმცა მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა, აღსანიშნავია, რომ უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 2004 წლის რედაქციის მიხედვით პროგრამული აკრედიტაცია 2007 წელს უნდა დაწყებულიყო თუმცა 2010 წლამდე ვერ მოხერხდა შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობის და შესაბამისი ინტელექტუალური რესურსების ნაკლების გამო. როგორც აღვნიშნეთ 2010 წელს ლიცენზირება ჩანაცვლდა ავტორიზაციით, ხოლო ინსტიტუციური აკრედიტაცია ჩანაცვლდა აკრედიტაციით. ავტორიზაციის სტანდარტი მიზნად ისახავს დაწესებულების შეფასებას მისი მისიიდან გამომდინარე. 2006-2009 წლებში ინსტიტუციური აკრედიტაცია ხორციელდებოდა შემდეგი ძირითადი კრიტერიუმების: ფართის მოცულობა, ფართისა და სტუდენტთა რაოდენობის თანაფარდობა, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა რაოდენობის თანაფარდობა, კანონით განსაზღვრული

საბაკალავრო სპეციალობები, კომპიუტერებისა და სტუდენტების რაოდენობის თანაფარდობა, ბიბლიოთეკა და ვებ-გვერდის მიხედვით. ამასთან შეფასების პროცესში გამოიყენებოდა შემდეგი დამატებითი კრიტერიუმები: სასწავლო-სამეცნიერო ინვენტარი, სასწავლო გეგმები, სრულყოფილი ბიბლიოთეკა, სრულყოფილი ვებ-გვერდი და დაწესებულების საქმიანობის ორგანიზაცია.

პროექტი GEDA-ს ფარგლებში შემუშავდა ე.წ. მისიაზე ორიენტირებული ინსტიტუციური აკრედიტაციის სტანდარტები, ხოლო ტემპუსის პროექტის „აკრედიტაციის სისტემის განვითარება საქართველოს უნივერსიტეტებში“ ეგიდით შეიქმნა პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტების სამუშაო ვერსიები. ორივე დოკუმენტი დაეფუძნა აკრედიტაციის ევროპულ და ამერიკულ სტანდარტებს და მათ შემუშავებაში მონაწილეობდნენ დაინტერესებულ მხარეებთან ერთად შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, გამოცდილი უცხოელი ექსპერტები. ორივე დოკუმენტი სრულად აკმაყოფილებდა საერთაშორისო სტანდარტს, იმავდროულად ითვალისწინებდა საქართველოს სპეციფიკას და მიმართული იყო როგორც ინსტიტუციური, ისე პროგრამული განვითარებისკენ. მაგრამ მიუხედავად ამისა, არ მოხდა არც ერთი დოკუმენტის დამტკიცება და ამოქმედება. აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: ზემოთ აღნიშნული ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტების ვერსიები ითვალისწინებდა - როგორც სტანდარტებს, ისე შეფასების ინდიკატორებს და შემოწმების წყაროებს, რაც თავის მხრივ ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესს გაცილებით უფრო გამჭვირვალეს, ობიექტურს და სამართლიანს გახდიდა, რასაც დღესდღეობით არსებული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. (უმაღლესი განათლების პოლიტიკის ანალიზი ხუთი სტრატეგიული მიმართულების მიხედვით 2013 წ)

თავი II - საერთაშორისო გამოცდილება - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური აკრედიტაცია

§ 2.1 დიდი ბრიტანეთი (ინგლისი, უელსი და ჩრდ. ირლანდია)

დასაწყისს უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ბრიტანეთი არ არის ბოლონიის პროცესის წევრი ქვეყანა, მაგრამ მისი განათლების სისტემა ითვალისწინებს საერთაშორისო სტანდარტებს. ბრიტანეთის უმაღლესი განათლების სისტემის უნიკალურობას განაპირობებს აკადემიური პერსონალის მაღალი დონე, სწავლების ინდივიდუალური სისტემა, რომელსაც პრაქტიკულად მხოლოდ აქ ვხვდებით, საჭიროების შემთხვევაში ეწყობა სტუდენტებთან ინდივიდუალური კონსულტაციები. ბრიტანეთის უნივერსიტეტში მიმდინარეობს პროფესორების მუდმივი მონიტორინგი.

დიდი ბრიტანეთის უსდ-ში ფუნქციონირებს ხარისხის სამსახურები, რომლებიც საერთო საკანონმდებლო რეგულაციების მიხედვით ფუნქციონირებენ, მაგრამ შიდა სისტემა განსხვავდება უნივერსიტეტების მიხედვით.

ამასთან მოქმედებს შეფასების გარე სისტემაც, რომლის ძირითად კომპონენტს ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო წარმოადგენს.

პროგრამების შეფასება და შუალედური მონიტორინგი წარმოებს გარე სააგენტოების მონაწილეობით. ყოველ წელს პროგრამაზე პასუხისმგებელი პროფესორი ახორციელებს პროგრამის მონიტორინგს. პროცედურა ითვალისწინებს გარე ექსპერტების, სხვა აკადემიური დაწესებულების და აკრედიცატიის გამცემი პროფესიული ასოციაციის ჩართვას. ბრიტანეთის უნივერსიტეტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლის და სფეროს შესაბამისი პროფესიული ასოციაციების უკუკავშირს. ყოველწლიური მონიტორინგის გარდა პერიოდული შეფასება მზადდება ყოველ ხუთ წელიწადში, რომელსაც უნივერსიტეტი, როგორც წესი, გარე

შემფასებელს ანდობს. მათი შეფასება კი ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით მნიშვნელოვანი კომპონენტია.

ექსპერტებისთვის მნიშვნელოვანია „საუკეთესო პრაქტიკის“ გამოვლენა და სხვა უნივერსიტეტებში მიღებული პრაქტიკასთან შესაბამისობა. შეფასების პროცესში ჩართულია დამსაქმებელი, ჩართვა კი განსხვავებული საშუალებებით ხდება, ფორმდება მათთან ხელშეკრულებები და რაც მთავარია პროგრამის შედგენისას უმნიშვნელოვანესია დამსაქმებლების ჩართვა.

ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო დაარსებულია უნივერსიტეტების მიერ და მის გადაწყვეტილებას დიდი ძალა აქვს. სააგენტოს შეუძლია გადაწყვიტოს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა სახელმწიფოს მხრიდან უნივერსიტეტის დაფინანსების საკითხი.

დიდ ბრიტანეთში აკრედიტაცია წარმოადგენს ძვირადღირებულ პროცესს ეს იქნება დროის, რესურსების და ფულის კუთხით. აკრედიტაცია გავლენას ახდენს ინსტიტუციონალურ თავისუფლებაზე.(Cohen & Kisker, 2010)

ინგლისის უნივერსიტეტებში ინსტიტუციური აკრედიტაცია ეფუძნება დაწესებულების დებულებისა და მხარდამჭერი საქმიანობის სრულ ინსპექტირებას, დაწესებულების დოკუმენტაციის დეტალური განხილვასთან ერთად, რაც ხელს უწყობს დაწესებულების ფუნქციონირების განხორციელებას მისაღებ დონეზე. დიდ ბრიტანეთში აკრედიტაციის პროცესი მოიცავს სამ განსხვავებულ ეტაპს.

პირველი ეტაპი მოიცავს განაცხადის ფორმისა და თანმხლები დოკუმენტების შემოწმებას, რომელიც მოიცავს განაცხადის წარდგენის დოკუმენტაციის განხილვას. იმ შემთხვევაში თუ ინფორმაცია მოწოდებულია სრულყოფილად პროცესი მეორე ეტაპზე გადადის. იმ შემთხვევაში თუ ინფორმაცია მოწოდებულია არასრული სახით ინსტიტუტს ეძლევა საშუალება გაეცნოს რა ტიპის ხარვეზები შეინიშნა და მიეცემა ვადა ამ ხარვეზების გამოსწორებლად. მეორე ეტაპი მოიცავს პირველად ვიზიტს, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში იქნება ერთდღიანი, ვიზიტის დროს ყურადღება ექცევა ინსტიტუტის

შესაბამისობას შენობასთან, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებათანს, მენეჯმენტის ხარისხსა და სტუდენტთა მხარდაჭერ ორგანიზაციებთან, ამასთან დგინდება დაგეგმილი კურსების სწავლების რესურსების ადეკვატურობა.

ვიზიტის ფარგლებში იმართება შეხვედრები უნივერსიტეტების ადმინისტრაციის თანამშრომლებთან და განიხილება ძირითადი დოკუმენტაცია მათთან ერთად. ვიზიტის შემდეგ მზადდება ანგარიში, რომელიც წარედგინება აკრედიტაციის კომიტეტს. ანგარიშში მოიცავს იმ საკითხების ნუსხას, რომელიც უნივერსიტეტმა უნდა გააუმჯობესოს აკრედიტაციის დაწყებამდე. ანგარიში ყურადღებით განიხილება აკრედიტაციის კომიტეტის მიერ, რომელიც მოიცავს ინფორმაციას დროებითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ. დროებითი აკრედიტაცია გრძელდება 12 თვის განმავლობაში. იმ შემთხვევაში თუ ამ ეტაპზე უმაღლესამა საგანამანათლებლო დაწესებულებამ ვერ მოიპოვა აკრედიტაცია ამის შესახებ ინფორმირებული იქნება და მიეცა, გადაწყვეტილების გასაჩივრების შანსი.

მესამე ეტაპზე აქცენტი კეთდება აკადემიურ საკითხებზე, მათ შორის სწავლისა და სწავლების, რესურსებისა და ხარისხის მენეჯმენტის, სტუდენტური კეთილდღეობის და ოფიციალური ორგანოების ანგარიშების ჩათვლით. მესამე ეტაპის დროს ხდება ინსტიტუტების ერთგვარი წახალისება, რათა გაუმჯობდეს არსებული მდგომარეობა.

მაღალი დონის ბრიტანული უნივერსიტეტის წარმოადგენს ლესტერის უნივერსიტეტი. ხარისხიან საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად ლესტერის უნივერსიტეტში მაღალ დონეზეა განვითარებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებზე მაღალი მოთხოვნაა, ავტორიტეტით სარგებლობს არქიტექტურა, მათემატიკა, ტელე-რადიო მაუწყებლობა.

დიდი ბრიტანეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური აკრედიტაცია ხდება ბოლონიის პროცესის ხელისმომწერი ქვეყნებისგან განსხავებით. ინსტიტუციურ აკრედიტაციას აქ ახორციელებენ არა სახელმწიფო, არამედ კერძო ორგანიზაციები, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან არიან აკრედიტებულნი, რაც თავის მხრივ ქმნის პირობას პროცესის პოლიტიკისგან გათავისუფლების. მიმაჩნია რომ დიდი

ბრიტანეთის მაგალითი გასაზიარებელია და ამ მხრივ საქართველოს განათლების სისტემას ნაბიჯები აქვს გადასადგმელი.

§ 2.2 ესტონეთი

ინსტიტუციური განვითარების ასპექტების უკეთ გასააზრებლად შესანიშნავი მაგალითია ესტონეთის გამოცდილების გათვალისწინება. ესტონური კანონმდებლობის თანახმად, „ინსტიტუციური აკრედიტაცია არის გარე შეფასება, რომლის დროსაც უმაღლესი განათლების ხარისხის ესტონური სააგენტო აფასებს უნივერსიტეტებისა და პროფესიული უმაღლესი განათლების დაწესებულებების მენეჯმენტის, ადმინისტრაციის, სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის, სასწავლო და სამეცნიერო გარემოს შესაბამისობას კანონმდებლობასთან, ისევე როგორც უსდ-ს განვითარების გეგმებთან. ინსტიტუციურ აკრედიტაციის გააჩნია მიზნები ესენია: უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტრატეგიული მენეჯმენტის და ხარისხის კულტურის განვითარების მხარდაჭერა, დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდება უსდ-ების საქმიანობის ძირითად შედეგებზე და ესტონეთის უმაღლესი განათლების კონკურენტუნარიანობის ამაღლება“ („ინსტიტუციური აკრედიტაციის პირობები და პროცედურა”, I. 2).

ესტონეთში ინსტიტუციური აკრედიტაცია ხორციელდება შემდეგი სფეროებისა და ქვესფეროების აღწერის, ანალიზისა და შეფასების საფუძველზე: 1. ორგანიზაციული მენეჯმენტი და საქმიანობის შედეგები ესენია: ზოგადი მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, ფინანსური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის მენეჯმენტი; 2. სწავლა და სწავლება: სწავლა-სწავლების ეფექტურობა, სტუდენტთა კორპუსის ფორმირება, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, სტუდენტთა აკადემიური წინსვლა და სტუდენტთა შეფასება, სასწავლო პროცესის მხარდაჭერა; 3. კვლევა, განვითარება ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა: კვლევის, განვითარებისა ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობის ეფექტურობა, რესურსები და მხარდაჭერა, სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის ხელმძღვანელობა და სადოქტორო განთლება; 4. საზოგადოების სამსახური: უსდ-ს ძირითადი საქმიანობის პოპულარიზაცია და უსდ-ს ჩართულობა სოციალური

განვითარების პროცესში, დასაქმებულთა გადამზადება და ფართო საზოგადოებისთვის განკუთვნილი სხვა სახის საგანმანათლებლო საქმიანობა, საზოგადოებაზე ორიენტირებული სხვა აქტივობები. ესტონეთის „ინსტიტუციური აკრედიტაციის პირობებისა და პროცედურების“ მეორე თავის მეშვიდე მუხლი საგანგებოდ ეთმობა შეფასების ზემოთ აღნიშნული სფეროებისა და ქვესფეროების როგორც ჩამონათვალს, ისე დეტალურ განმარტებას, ხოლო ამავე დოკუმენტის დანართის სახით წარმოდგენილია როგორც ზოგადი მოთხოვნები, ისე მათი შეფასების კრიტერიუმები და ინდიკატორები. ამგვარი დეტალიზაცია მინიმუმამდე ამცირებს ექსპერტთა მხრიდან სუბიექტური და არაერთგვაროვანი შეფასების ალბათობას.

ესტონეთის მაგალითის მოყვანა მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ საქართველო ეყრდნობა ესტონეთის ინსტიტუციურ აკრედიტაციის პროცედურებს.

თავი III - საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა ავტორიზაციის თანმდევი ტენდენციები

§ 3.1 ავტორიზაციის ძველი და ახალი სტანდარტების შედარებითი ანალიზი-უმაღლესი განათლების პოლიტიკის ანალიზი ხუთი სტრატეგიული მიმართულების მიხედვით

უსდ-ების ავტორიზაცია 2018 წლამდე ხდებოდა სამი ძირითადი სტანდარტის მიხედვით:

- ✓ უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამები
- ✓ მატერიალური რესურსი
- ✓ ადამიანური რესურსი.

გარდა ამისა, თითოეული სტანდარტი შედგებოდა ქვესტანდარტებისგან, რომლებიც შეეხებოდა: სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობისათვის აუცილებელ მატერიალურ რესურსებს როგორიცაა: ფართი, ინვენტარი, ბიბლიოთეკა და სხვ., საქმის წარმოებას, პერსონალის მართვასთან, სასწავლო-სამეცნიერო პროცესთან, ხარისხის უზრუნველყოფასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რეგულაციებს, საგანმანათლებლო პროგრამების ფორმალურ და შინაარსობრივ საკითხებს, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციას და სხვ.

შემუშავდა და დამტკიცდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ და მეტ-ნაკლები წარმატებით ფუნქციონირებდა „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის რეკომენდაციები“, რომლებშიც განიმარტა ავტორიზაციის სტანდარტების ცალკეული პუნქტები, შეფასების შესაძლო ინდიკატორები და არსებული ვითარების შემოწმების შესაძლო წყაროები.

ავტორიზაციის რეკომენდაციები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის დაყოფილია ოთხ თავად: დაწესებულების მისია და სახელწოდება, საგანმანათლებლო პროგრამები, მატერიალური რესურსი, ადამიანური რესურსი. თითოეული თავი ჩაშლილია პუნქტებად და იძლევა კონკრეტულ რეკომენდაციებს.

აღნიშნული დოკუმენტი სასარგებლო და გამოსადეგი იყო მატერიალურ და ადამიანურ რესურსთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში, მაგრამ საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე კი იძლეოდა მხოლოდ ფორმალური ხასიათის ორაზროვან და ზედაპირულ რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინება არ იყო საკმარისი ავტორიზაციის შესაბამისი სტანდარტის ცალკეული პუნქტების უკეთ გასააზრებლად. აღსანიშნავია, რომ არ არის ჩატარებული კვლევა, რომლის მიზანიც ავტორიზაციის სტანდარტებისა და პროცედურის შეფასება, მისი ძლიერი და სუსტი მხარის გამოკვეთა, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა იქნებოდა. თუმცა, შესაძლებელია, ავტორიზაციის შეფასების, პრობლემების გამოკვეთისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების დროს გამოვიყენოთ ტემპუსის ერთ-ერთი პროექტის ეგიდით ჩატარებული კვლევა, რომელიც შეეხებოდა აკრედიტაციას. კანონმდებლობის მიხედვით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შეიძლებოდა არ მიენიჭებოდა, ან გაუუქმებოდა ავტორიზაცია იმ შემთხვევაში, თუ იგი არ აკმაყოფილებდა ავტორიზაციის ერთ-ერთ სტანდარტს (საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ,2010). აღნიშნულის საფუძველზე, დაწესებულებას შეიძლება არ მინიჭებოდა, ან გაუქმებოდა ავტორიზაცია მხოლოდ იმიტომ რომ, მაგალითად, განცხადება აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის შესახებ განთავსებული იყოს მხოლოდ ვებ-გვერდზე და არ იყოს გავრცელებული ბეჭდური მედიის საშუალებითაც, ან ერთ-ერთ სილაბუსში მითითებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა არ ემთხვეოდა სასწავლო გეგმაში აღნიშნული საათების რაოდენობას და სხვ. ავტორიზაციის სტანდარტებითა და რეკომენდაციებით დადგენილი მოთხოვნები, რა თქმა უნდა, აუცილებელი იყო უსდ-ს ნორმალური ფუნქციონირებისათვის, თუმცა ამ მოთხოვნათა ნაწილი ცალსახად არ უკავშირდებოდა სწავლებისა და კვლევის ხარისხს. შესაძლებელია, რომ ესა თუ ის დაწესებულება სტუდენტებს სთავაზობდა მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამებს და აწარმოებდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კვლევებს, მაგრამ მას ავტორიზაციის ექსპერტების ვიზიტის მომენტში თვალსაჩინო ადგილას არ ჰქონდა გამოკრული ევაკუაციის გეგმა, ან სასწავლო გეგმაში

დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი. აქედან გამომდინარე, სასურველი იყო რომ განსაზღვრულიყო ავტორიზაციის ე.წ. ძირითადი და დამატებითი კრიტერიუმები და რომელიმე დამატებითი კრიტერიუმის ვერ დაკმაყოფილების შემთხვევაში, დაწესებულებას მიენიჭებოდა პირობითი ავტორიზაცია. ინსტიტუციას განსაზღვროდა გარკვეული ვადა, რომლის განმავლობაშიც მან უნდა მოახდინა იდენტიფიცირებული ხარვეზების გამოსწორება. ამ შემთხვევაში ავტორიზაცია რეალურად იქნებოდა ხარისხის განვითარების მექანიზმი და არა სადამსჯელო ღონისძიება, როგორც ხანდახან მოიაზრება ქართული საზოგადოების მიერ, ცალკეულ შემთხვევებში მეტისმეტი სიხისტის თუ არაგამჭვირვალობის გამო. პირობითი ავტორიზაციის შემოღება დამატებით ხელს შეუწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების უფლებების დაცვას, რომ მარტივად გამოსწორებადი ხარვეზების გამო არ შეილახოს მათი უფლებები. (უმაღლესი განათლების რეფორმის შედეგები, განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, 2008 წ.).

2018 წლამდე მოქმედ ავტორიზაციასთან დაკავშირებით ექსპერტთა ნაწილი გამოთქვამდა შენიშვნებს, რომლებიც შეეხებოდა მის შინაარსსა და მიზანდასახულობას. კერძოდ, ავტორიზაცია იყო მექანიზმი, რომლის საშუალებითაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ეძლეოდა ფუნქციონირების და სახელმწიფოს მიერ აღიარებული კვალიფიკაციის მინიჭების უფლება, მაგრამ ავტორიზაცია თითქმის არ ითვალისწინებდა დაწესებულების ინსტიტუციური განვითარების შეფასებასა და ხელშეწყობას, ანუ ხარისხის გარე უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი - ინსტიტუციური განვითარების სტიმულირება - საქართველოში მხოლოდ ნაწილობრივ მიიღწეოდა.

საქართველოში აქამდე მოქმედი ავტორიზაცია-აკრედიტაციის სტანდარტის ერთ-ერთ ძირითად ნაკლად ექსპერტები და დაინტერესებული მხარეები მიიჩნევდნენ ექსპერტთა მხრიდან სუბიექტური და არაერთგვაროვანი შეფასების ალბათობას. აღსანიშნავია, რომ საქართველოში აქამლდე მოქმედი არც ავტორიზაციის და არც აკრედიტაციის სტანდარტი სათანადო ყურადღებას არ უთმობდა უსდ-ს ზოგადი და განსაკუთრებით ფინანსური

მენეჯმენტის ასპექტებს. ამასთანავე რაც ასევე მნიშვნელოვანია, ფაქტობრივად, იგნორირებული იყო უსდ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და მისი როლი საზოგადოების განვითარების პროცესში.(უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში 2013)

შეიძლება ითქვას, რომ, ავტორიზაციის მიზნები და შინაარსი ავტორიზაციის ახალ სტანდარტებში გაფართოვდა. მის შედეგად მოხდა არა მხოლოდ უსდ-ს ფუნქციონირების და სახელმწიფოს მიერ აღიარებული კვალიფიკაციის მინიჭების უფლების მოპოვება, არამედ ავტორიზაციის ფარგლებში განხორციელდა უსდ-ს ინსტიტუციური განვითარების შეფასება და ხელშეწყობა მაგალითად, ისეთი სტანდარტების შემოღებით, როგორიცაა კვლევა, განვითარება და/ან სხვა სახის შემოქმედებითი საქმიანობა; საზოგადოების სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფა და სხვ.

დღესდღეობით, უმაღლესი განათლების ერთ-ერთ მთავარ მიზანს კვლევა წარმოადგენს, რომელიც განიხილება საზოგადოებრივი და საერთო სიკეთის კონტექსტში როგორც ლოკალურ და გლობალურ დონეზე. ექსპერტები თანხმდებიან იმის შესახებ, რომ კვლევა ხელს უწყობს „ცოდნის საზოგადოების“ ჩამოყალიბებას, რადგან კვლევის პროცესში შექმნილი ახალი ცოდნა არ არის ერთეული მეცნიერის საკუთრება, არამედ ეკუთვნის საზოგადოებას და ქმნის საზოგადოებრივ დოვლათს. უფრო კონკრეტულად, სხვადასხვა დარგში, კვლევის შედეგად მიღებული, ახალი აღმოჩენები და გამოგონებები ცვლის ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებას, აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს, ავითარებს დემოკრატიულ პრინციპებს, ზრდის ეკონომიკას და ქმნის ახალ შესაძლებლობებს მომდევნო თაობებისათვის.(American Academy of Arts & Sciences. 2016) ამ ყოველივეს ხელი უნდა შეუწყოს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა კვლევაზე ყურადღების გამახვილებითა და მკვლევარებისთვის ხელის შეწყობით, რასაც უკვე ახალი სტანდარტები ავალდებულებს უსდ-ს.

უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს წარმოადგენს ინტერნაციონალიზაცია სწავლა/სწავლების წარმატებით წარმართვისთვის. ბევრი მოსაზრება არსებობს იმის შესახებ, თუ რამდენად დიდია ინტერნაციონალიზაციის

წვლილი ხარისხიანი განათლების ჩამოყალიბებაში. იერავდეკარი და ტივარი თვლიან, რომ ეს პროცესები საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდას უწყობს ხელს.(Yeravdekar, Vidya Rajiv, and Gauri Tiwari. 2014.) ნაითი და ალტბახი მიიჩნევენ, რომ ინტერნაციონალიზაცია სწავლა/სწავლების ხარისხის პოზიტიურად ცვლის.(Altbach, Philip, and Jane Knight. 2007.) ამდენად დიდია ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელობა და თავისთავად პოზიტიურია ახალ სტანდარტებში ინტერნაციონალიზაციის პროცესზე ყურადღების გამახვილება.

რეფორმის შედეგად შეიცვალა უმაღლესი განათლების ხარისხის შეფასების სისტემა. ავტორიზაციის სტანდარტები და პროცედურები შესაბამისობაში მოვიდა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან.(უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები 2016)

სისტემა გახდება მიმზიდველი, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი სტუდენტებისთვის, გამარტივდება განათლების საერთაშორისო აღიარების პროცესი, გაცვლითი და ერთობლივი საგანმანათლებლო და კვლევითი პროგრამების განხორციელება. ამ თვალსაზრისით მნიშველოვანია თავად უსდ-ის შეფასება ავტორიზაციის ახალი სტანდარტების, მათი თავლსაზრისი განახლებული სტანდარტებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია დადგინდეს არსებობს თუ არა კიდევ პრობლემური საკითხები, განსხვავებული ხედვები და რეკომენდაციები.

რეფორმის ფარგლებში შეიცვალა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები და პროცედურები. უსდ-ები 3-ის ნაცვლად შეფასდებიან 7 სტანდარტის მიხედვით.(უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები 2018) განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესის და უსდ-ების მიერ მიღწეული შედეგების შეფასებას, როგორიცაა სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი, კვლევითი პროდუქტიულობის მაჩვენებელი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებული

საგანმანათლებლო პროგრამებისა და სერვისების მიმართ სტუდენტების და სხვა დაინტერესებული მხარეების კმაყოფილების დონე.

განახლებული სტანდარტებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სრულფასოვნად შესაფასებლად შეიქმნა ექსპერტთა კორპუსი. პირველად ექსპერტთა ჯგუფების მუშაობაში, ადგილობრივებთან ერთად ჩაერთვებიან უცხოელი ექსპერტები, სტუდენტები და დასაქმების ბაზრის ექსპერტები.

ავტორიზაციის პროცესის ეფექტურად განსახორციელებლად შეიქმნა ელექტრონული პლატფორმა, რომელის საშუალებითაც განხორციელდება ავტორიზაციის პროცესის ყველა ეტაპი - განაცხადის შემოტანიდან საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ჩათვლით. მაგრამ არც ახალ სტანდარტში არ ჩანაცვლებულა ტერმინები „ავტორიზაცია“ და „აკრედიტაცია“ მათი შინაარსის უკეთ გამომხატველი „ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტიით“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში, განახლებული მექანიზმების დასანერგად 2017 წლის ბოლომდე 3 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელდება პილოტირება უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით. ამასთან, ცენტრი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ექსპერტების მოსამზადებლად ინტენსიურად განახორციელებს კონსულტაციებს, ტრენინგებს და სამუშაო შეხვედრებს; ასევე, მიმდინარეობს მუშაობა დამხმარე მასალების მომზადებაზე.

ავტორიზაციის პროცესი საქართველოში 2010 წლიდან დაიწყო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები სამი სტანდარტის საშუალებით ფასდებოდნენ ესენია:

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამები
- ✓ მატერიალური რესურსი
- ✓ ადამიანური რესურსი

2017 წლიდან გადაწყდა, რომ ავტორიაციის სტანდარტები შეცვლილიყო და ჩატარდა მნიშვნელოვანი რეფორმა, დღეიდან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები გვაქვს 7 სტანდარტი, რომლებიც დამატებით მოიცავენ 19 ქვესტანდარტს.

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება
2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
3. საგანმანათლებლო პროგრამები
4. უსდ-ის პერსონალი
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ახალი სტანდარტები არის ევროპის განათლების სივრცის მოთხოვნის შესაბამისი, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებლად უწევთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ახალი სტანდარტები ძველისგან განსხვავებით უფრო სიღრმისეულად, სრულყოფილად და კომპლექსურად აფასებენ დაწესებულებას. ახალი სტანდარტები განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ განვითარებაზე, ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაციაზე, მათ დატვირთვასა და სამეცნიერო-კვლევით საქმეზე. განახლებული სტანდარტებით მეტად სრულყოფილად შეფასდება დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა.

ავტორიზაციის ექსპერტებს ახალი სტანდარტების მიხედვით უფრო სიღრმისეულად მოეთხოვებათ სტრატეგიულ გეგმაში ჩახედვა, იმის განსაზღვრა თუ რამდენად რეალისტურია სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმა, რამდენად ეფუძნებიან ისინი დაწესებულების რესურსებს და მიმართულია თუ არა განვითარებისაკენ.

აღნიშნულ საკითხში დაინტერესებული მხარეებად, ვინც უშუალოდ ჩართულნი არიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის გაუმჯობესების პროცესში შეიძლება გამოვყოთ: თავად ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, რამდენადაც სწორედ ეს არის მთავარი ორგანო, ვინც ახორციელებს ავტორიზაციის პროცედურას; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სადაც უშუალოდ მიმდინარეობს სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების პროცესი; სტუდენტები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ხარისხიანი განათლების მიღებაზე; პროფესორ-მასწავლებლები;

დამსაქმებლები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან კვალიფიციური კადრების შექმნით. საინტერესოა, როგორია აღნიშნული პროცესის შეფასება კრიტიკულად, რამდენად სამართლიანია ავტორიზაციის პროცედურები და სტანდარტები უნივერსიტეტებისთვის? ზღუდავს თუ არა უნივერსიტეტების ავტონომიას? რეალურად უზრუნველყოფს თუ არა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას? ვინ წარმოადგენს მთავარ მოქმედ პირს და ვინ არის გადაწყვეტილების მიმღები?

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და ავტორიზაციის ახალი სტანდარტების განხილვამ გვიჩვენა, რომ აღნიშნულ საკითხს აქვს როგორც უპირატესობები, ისე ხარვეზები.

თავად ის ფაქტი, რომ არსებობს ერთიან წესები და სტანდარტები, ავტორიზაციის მინიჭების პროცესში, სამართლიანია ყველა უნივერსიტეტისთვის. თუმცა, ვფიქრობ გადასახედია ის საკითხი, რომ მხოლოდ ერთი ორგანო წარმოადგენს შეფასების განმახორციელებელს. მართალია, ახალი სტანდარტების შემუშავებაში ჩართულები იყვნენ თავად უსდ-ები, თუმცა, კარგი იქნება თუ უნივერსიტეტების შემფასებელი მხოლოდ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი არ იქნება (სახელმწიფო). მაგალითად, საინტერესო იქნება ურთიერთშეფასების სქემა, თუ ერთმანეთის შეფასების პროცესში ჩართულები იქნებიან თავად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიც.

როგორც უკვე აღვნიშნე, ავტორიზაციის ახალი სტანდარტები არის მეტად კომპლექსური და დეტალიზებული, რომელთა განხორციელებაც საკმაოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვს. შედეგად, რომ შევაჯამოთ, დგება იმის საშიშროება, თუ რამდენად სამართლიანად ჩატარდება აღნიშნული პროცესი ყველა უნივერსიტეტისთვის, რამდენად საკმარისია როგორც ფინანსური, ისე ადამიანური რესურსი პროცესის სრულყოფილად განხორციელებისთვის, რამდენად აღმოიფხვრება იმის საშიშროება, რომ პროცესი კვლავ ფორმალურ ხასიათს არ მიიღებს. ამ რისკების დაძლევის ერთ-ერთი გზა არის უნივერსიტეტებში ხარისხის კულტურის ჩამოყალიბება (რაც ავტორიზაციის ახალი სტანდარტების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს). ანუ, უნივერსიტეტებმა ნებაყოფლობით,

საკუთარი სურვილით იზრუნონ ხარისხის გაუმჯობესებაზე და არა მხოლოდ ფორმალურად, ავტორიზაციის მისაღებად.

§ 3.2 ავტორიზაციის პროცედურების მიმოხილვა

ავტორიზაცია არის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვება, იმისთვის, რომ დაწესებულებამ საგანმანათლებლო საქმიანობა განახორციელოს, იგი უნდა იყოს ავტორიზებული. მხოლოდ ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს უფლება გასცემს სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მიზანი გახლავთ შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. ავტორიზაციის ვადა განისაზღვრება 6 წელით ყველა სახის საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის.

იმისთვის რომ საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოიპოვოს ავტორიზაცია საჭიროა გარკვეული პროცედურების გავლა:

- ✓ საავტორიზაციო განაცხადის წარდგენა;
- ✓ საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლად ცნობა;
- ✓ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნა;
- ✓ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის თვითშეფასების ფორმისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის წინასწარი შესწავლა და ვიზიტის დღის წესრიგის შემუშავება;
- ✓ საავტორიზაციო ვიზიტის განხორციელება;
- ✓ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის შედგენა და ცენტრში წარდგენა;
- ✓ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის დაწესებულებისთვის გაცნობა;

- ✓ ავტორიზაციის ესპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის ცენტრში წარდგენა დასკვნის პროექტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით;
- ✓ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის საბოლოო სახით ჩამოყალიბება და ცენტრში წარდგენა;
- ✓ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის დაწესებულებისთვის გაცნობა;
- ✓ საავტორიზაციო განაცხადის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესაბამისი ავტორიზაციის საბჭოს წევრებისთვის გაგზავნა;
- ✓ ავტორიზაციის საკითხზე ზეპირი მოსმენის გამართვა და შესაბამისი ავტორიზაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება;
- ✓ დასაბუთებული გადაწყვეტილების ცენტრის მიერ გამოქვეყნება.

როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულება სტატუსის მოპოვების მიზნით ცენტრში წარდგენს საავტორიზაციო განაცხადს თან უნდა დაურთოს სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების შევსებული ფორმა, მასზე დასართავი დოკუმენტაცია და ავტორიზაციის განაცხადის განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ცენტრი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს საავტორიზაციო განაცხადზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან, იმ შემთხევავში თუ განმცხადებელი ცენტრს არ წარუდგენს მოთხოვნილ რომელიმე დოკუმენტს, განმცხადებელს განესაღვრება არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად, დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოსწორების შემთხვევაში, ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლად ცნობის შესახებ, ხოლო ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში – ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ

აქტს განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ. ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლად ცნობის შესახებ აქტი გამოიცემა 20 კალენდარული დღის ვადაში. იმ შემთხვევაში თუ საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლად ცნობის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში არ გადაიხდის ავტორიზაციის საფასურს, ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

შემდეგი პროცედურაა საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების შევსებული ფორმის შეფასება, ცენტრი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თითოეულ წევრს უგზავნის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების შევსებულ ფორმას და მასზე დართულ დოკუმენტაციას. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე უზრუნველყოფს ჯგუფის წევრებს შორის მოვალეობების განაწილებას წევრების კომპეტენციის გათვალისწინებით დოკუმენტაციის შესწავლისა და ავტორიზაციის სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით, საავტორიზაციო ვიზიტის განხორციელებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შეისწავლის თვითშეფასების შევსებულ ფორმასა და თანდართულ დოკუმენტაციას, რომლის საფუძველზეც შეიმუშავებს ვიზიტის დღის წესრიგს, რომელსაც წინასწარ ათანხმებს ცენტრთან. ჯგუფის თავმჯდომარე ვიზიტის დროს უზრუნველყოფს ჯგუფის წევრებს შორის მოვალეობების განაწილებას. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობა ფასდება სამდონიანი სკალით, ესენია: „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ და „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“. იმ შემთხვევაში თუ სტანდარტის ყველა კომპონენტი შეფასებულია როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, სტანდარტი შეფასდება, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუ სტანდარტის ერთ-ერთი კომპონენტი მაინც შეფასებულია როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ და ყველა სხვა კომპონენტი – „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, სტანდარტი შეფასდება როგორც

„შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; თუ სტანდარტის ერთზე მეტი კომპონენტი მაინც შეფასებულია როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, სტანდარტი შეფასდება როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუ სტანდარტის ერთ-ერთი კომპონენტი შეფასდება, როგრც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“ სტანდარტი შეფასდება-„არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“. იმ შემთხევაში თუ ავტორიზაციის მაძიებელი ნაწილობრივ აკმაყოფილებს კომპონენტის მოთხოვნებს და გაწერილი აქვს შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი სამოქმედო გეგმა, სტანდარტის კომპონენტი ფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თვითშეფასების შევსებული ფორმისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლისა და საავტორიზაციო ვიზიტის შედეგად დგება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი და წარედგინება ცენტრს, დასკვნის პროექტი აღწერს დაწესებულების შესაბამისობას ავტორიზაციის სტანდარტებთან (საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ, 2010)

საბოლოოდ თვითშეფასების შევსებული ფორმისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლისა და საავტორიზაციო ვიზიტის შედეგად დგება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი და წარედგინება ცენტრს, რომელიც აღწერს დაწესებულების შესაბამისობას ავტორიზაციის სტანდარტებთან, იმ შემხვევაში თუ შესაბამისობისობა დადგინდება დასკვნის პროექტი ეგზავნება დაწესებულებას. თუ დადგა საჭიროება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს უკან უბრუნდება დასკვნის პროექტი. ექსპერტთა ჯგუფი აყალიბებს დასკვნას საბოლოო სახით და წარუდგენს ცენტრს, რომელსაც ცენტრი უგზავნის დაწესებულებას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა და მისთვის დადგენილი მოთხოვნები მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ, 2010).

საგანმანათლებლო დაწესებულებას კი თავის მხრივ აქვს უფლება ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების, თუ არ ეთანხმება მას კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში, საპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით.

ავტორიზაციის საბჭომ შეიძლება მიიღოს სამი სახის გადაწყვეტილება, მიანიჭოს ავტორიზაცია საგანმანათლებლო დაწესებულებას თუ დაწესებულება აკმაყოფილებს ავტორიზაციის ყველა სტანდარტს, გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია ავტორიზაციის მაძიებელ დაწესებულებას მისცეს რეკომენდაციები; უარი უთხრას ავტორიზაციის მინიჭებაზე იმ შემთხვევაში თუ დაწესებულება ვერ აკმაყოფილებს ავტორიზაციის ერთ-ერთ სტანდარტს, ან გაუუქმოს ავტორიზაცია თუ დაწესებულებას დარღვეული აქვს ავტორიზაციის სტანდარტი ან სტანდარტები. მონიტორინგის შედეგად, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, შესაბამისი საბჭო უფლებამოსილია, გაუუქმოს დაწესებულებას ავტორიზაცია, თუ საგანმანათლებლო დაწესებულება არღვევს ავტორიზაციის სტანდარტს ან საგანმანათლებლო სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ნორმებს: საგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლის, პროფესიული სტუდენტის ან სტუდენტის სტატუსის წარმოშობასთან, შეწყვეტა/შეჩერებასთან დაკავშირებით. დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი საბჭო უფლებამოსილია, საგანმანათლებლო დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვროს არაუმეტეს 60 დღე გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება. თუ 60-დღიან ვადაში დაწესებულების მიერ შესაბამისი ხარვეზების გამოუსწორება არ მოხდა, საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ავტორიზაციის გაუქმების შესახებ. მოქმედ საგანმანათლებლო დაწესებულებას ავტორიზაცია გაუუქმდება, მაშინ, როდესაც მისი პირობები აღარ შეესაბამება ავტორიზაციის რომელიმე ერთ-ერთ სტანდარტს, აგრეთვე, თუ მან დაარღვია საგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლის, პროფესიული სტუდენტის ან სტუდენტის სტატუსის წარმოშობასთან, შეჩერებასთან ან შეწყვეტასთან დაკავშირებით არსებული წესები.

§ 3.3 ავტორიზაციის საბჭოს ფუნქცია-მოვალეობები

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის თაობაზე გადაწყვეტილებებს იღებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო, რომელის წევრებსაც სამინისტროს წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის თითოეული საბჭო შედგება 9 წევრისაგან. საბჭოს წევრების უფლებამოსილება განისაზღვრება ერთი წლის ვადით. ამასთან ავტორიზაციის საბჭოების წევრები არ შეიძლება იყვნენ საჯარო მოხელეები. საბჭოს უფლებამოსილება განისაზღვრება ავტორიზაციის დებულებით, რომლითაც გარანტირებულია მათი ფუნქციური დამოუკიდებლობა საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სახელმწიფო ორგანოებისაგან.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტს მოეთხოვება მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ხოლო იმისთვის, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი ნაწილი შეაფასოს ექსპერტმა კანდიდატს უნდა გააჩნდეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ან იყოს დოქტორანტი და ჰქონდეს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, განხორციელებასა და განვითარებაში მონაწილეობის გამოცდილება და/ან კვლევის განხორციელებისა და/ან კვლევითი პროექტების მართვის გამოცდილება. აღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება დამსაქმებლის და სტუდენტის კვოტით განსაზღვრულ ექსპერტთა ჯგუფის წევრებზე. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მინიმუმ ერთი სტანდარტის შესაფასებლად შესაბამისი სპეციფიკის ცოდნა და შესაბამისი გამოცდილება; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების, მასში მიმდინარე პროცესებისა და სპეციფიკის ცოდნა, რაც დასტურდება შესაბამისი სამუშაო გამოცდილებით, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესი, „ევროპის

უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG)“ 2015 წლის დოკუმენტის ცოდნა, ბოლონიის პროცესის შესახებ ზოგადი ცოდნა და უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების ცოდნა როგორიცაა: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი; „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება; „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანება; ამასთან ექსპერტს მოეთხოვება შესაბამისი სფეროს დარგობრივი მახასიათებლები როგორიცაა: კომპიუტერული უნარების ფლობა, გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი, მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი, ინგლისური ენის ცოდნა (თუმცა განსაზღვრული არ არის რა დონის ინგლისურია საჭირო). (ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესი, 2018)

შეწყვეტის წესი ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესში გაწერილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრ დამსაქმებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრ საერთაშორისო ექსპერტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრი სტუდენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ამასთან აღნიშნული დოკუმეტით გაწერილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნა და წევრთა ფუნქციები, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნა ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით” დადგენილი მოთხოვნების დაცვით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ექსპერტთა კორპუსის წევრები, რომლებიც არიან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალი და სტუდენტი, საერთაშორისო ექსპერტი, ასევე შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ დამსაქმებლები და სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთ წევრს, ცენტრის დირექტორის ბრძანებით, ეკისრება ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეობა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დროს ექსპერტთა ჯგუფს თავმჯდომარეობს საერთაშორისო ექსპერტი. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა, ექსპერტთა რაოდენობა და დაწესებულებაში ვიზიტის ხანგრძლივობა განისაზღვრება ინდივიდუალურად, იმის მიხედვით თუ რა სპეციფიკის არის საგანმანათლებლო დაწესებულება და რა რესურსი გააჩნია მას. თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის საავტორიზაციო განაცხადში მითითებულია, რომ ის ახორციელებს რეგულირებად სამედიცინო აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას, მაშინ ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში წარმოდგენილნი უნდა იყვნენ ფუნდამენტური ბიოსამედიცინო მეცნიერებების და/ან კლინიკური სწავლების პროფილის ექსპერტები. დამატებით ექსპერტთა ჯგუფში თანათავმჯდომარის სტატუსით შედის შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე საერთაშორისო ექსპერტი.

კვლევითი ნაწილი

სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი ნაწილის მიზანს წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ძველი და ახალი სტანდარტების შეპირისპირებითი ანალიზის კვლევა.

ჩვენი მიზანია გავარკვიოთ უსდ-ის დამოკიდებულბება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან დაკავშირებით. მოახდინა თუ არა გავლენა ახალმა სტანდარტებმა უსდ-ების ინსტიტუციურ განვითარებაზე. ნამდვილად უწყობს თუ არა ხელს ახალი სტანდარტები სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას.

კვლევის მეთოდი - თვისებრივი კვლევა:

სამაგიდე კვლევა (საკვლევ თემასთან დაკავშირებული კანონმდებლობის, უსდ ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებების და სხვა მეორეული ინფორმაციის ანალიზი) საკითხის შესახებ ძირითადი ინფორმაციის მოსაპოვებლად გამოვიყენე ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდი, რომელიც მიზნად ისახავს უსდ-ების დამოკიდებულებების შესწავლას. კვლევის ობიექტად შევარჩიე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენლები.

კვლევის ინსტრუმენტი: თვისებრივი კვლევის კითხვარი (ნახევრად სტრუქტურირებული). კითხვარი შევადგინეთ მეორეულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. კერძოდ ვიხელმძღვანელეთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებით, უსდ-ის ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებებით და დოკუმენტით - უმაღლესი განათლების პოლიტიკის ანალიზი ხუთი სტრატეგიული მიმართულების მიხედვით.

კვლევითი ნაწილის პირველ ეტაპზე მოვახდენთ ავტორიზაციის ძველი და ახალი სტანდარტების მოქმედების დროს ექსპერტთა დასკვნებისა და ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ანალიზი და განვსაზღვრეთ ძირითადი ტენდენციები.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლიდან დაიწყო ავტორიზაცია ახალი სტანდარტების მიხედვით, ავტორიზაციის საბჭოს წევრები ვიზიტის პირველივე ეტაპზე აღნიშნავდნენ, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტები 2017 წლის ბოლოსთვის უკვე ჩამოყალიბებული იყო, რაც ნიშნავს რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს საკმაო დრო ჰქონდათ სამუშაოდ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თსუ-ს 2011 წლის 21 ივლისის საგანმანათლებლო საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა ავტორიზაცია 2012-2013 სასწავლო წლიდან 5 წლის ვადით.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით თსუ-ს ავტორიზაციაზე ქონდა გამოტანილი ისეთი პროგრამები, რომელთა არსებობაც არ დასტურდებოდა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში თუმცა, კომისიამ იმსჯელა რომ რეკომენდირებული იქნებოდა აღნიშნული პროგრამების საკვალიფიკაციო ჩარჩოში შეტანა. ამასთან საბჭომ იმსჯელა ავტორიზაციის პროგრამულ სტანდარტთან სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირობების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.
2. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს ქონდა შემდეგი სახის შენიშვნები: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის აღჭურვა, სასწავლო ინვენტარით, არ იყო დასრულებული საავტორიზაციო ვიზიტის მომენტისთვის ამასთან არ იყო დასრულებული შეზღუდული შესაძლებლობების პირების მიერ სარგებლობისათვის შესაბამისი სარემონტო სამუშაოები ყველა სასწავლო კორპუსში. რიგი ხარვეზებისა დაფიქსირდა,

მაგრამ საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულად.

3. რაც შეეხება მესამე სტანდარტს - ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, ექსპერტთა დასკვნის შესაბამისად, უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შერჩევა მიმდინარეობდა უმაღლესი განათლების შესახებ კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული წესის მიხედვით. ამრიგად, აკადემიური პერსონალის შერჩევა ხორციელდებოდა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. საბჭომ ადამიანური რესურსის სტანდარტთან სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირობების შესაბამისობის საკითხზე იმსჯელა და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის მესამე სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს უნივერსიტეტთან ჰქონდა გარკვეული სახის რეკომენდაცია, მაგალითად სასურველად მიიჩნია უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები განახორციელებინა უსდ-ს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 2011 წელს თსუ-ს არ ქონია ავტორიზაციის დროს მნიშვნელოვანი სახის პრობლემები.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა განმეორებით ავტორიზაცია გაიარა 2018 წლის 27 აგვისტოს უკვე ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად, აქ პროცესი საკმაოდ მტკივნეულად წარიმართა. 2018 წლის 4-8 ივნისს ეწვია ექსპერტთა ჯგუფი თსუ-ს და განახორციელა 24 პირისპირი და 20 ჯგუფური ინტერვიუ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, პერსონალთან, დეკანებთან, ფაკულტეტებთან, კვლევითი ინსტიტუტების დირექტორებთან, სტუდენტებთან, დოქტორანტებთან, კურსდამთავრებულებთან და ამასთან სხვა გარე დაინტერესებულ მხარეებთან. ჯგუფმა მოინახულა უნივერსიტეტის რიგი შენობებისა და ობიექტების. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ჩაატარა ჯგუფის

ძირითადი დასკვნების ზეპირი პრეზენტაცია 8 ივნისს უნივერსიტეტში. ვიზიტი წარიმართა გეგმის მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფის თანათავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უსდ-ს ევროპული სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები უყენებენ საკმაოდ მაღალ მოთხოვნებს, ახალი სტანდარტების დანერგვა დაიწყო 2017 წელს, ამრიგად საქართველოში მოქმედმა უსდ-ს უწევთ მუდმივი მუშაობა მის წარმატებით დანერგვისა და განხორციელებაზე. უნივერსიტეტის მხრიდან წარდგენილი თვითშეფასების ანგარიში ინფორმაციული და ზოგადი შთაბეჭდილებაც პოზიტიური იქნა, თუმცა რიგი ღონისძიებების გატარება იქნებოდა საჭირო უსდ-ში. უნივერსიტეტს მიეცა გარკვეული სახის რეკომენდაციები როგორიცაა - კარიერის დაგეგმვის კუთხით სტუდენტების მეტი ჩართულობა, სტუდენტთა სტაჟირების უზრუნველყოფა, ინტერნაციონალიზაციის კუთხით სამუშაოების გატარება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა, საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენა, საბიბლიოთეკო რესურსების გაუმჯობესება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ფუნქციაა განსაზღვროს პრიორიტეტები განსახორციელებელი აქტივობების კუთხით.

უნივერსიტეტის რექტორმა ბატონმა გია შარვაშიძემ რიგი სტანდარტების შეფასებასთან დაკავშირებით გამოთქვა უნივერსიტეტის დასაბუთებული დამოკიდებულება.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის რექტორისა და დაწესებულების თანამშრომლების არგუმენტირებული მსჯელობის შედეგად საბჭომ რამდენიმე სტანდარტთან დაკავშირებით შეცვალა გადაწყვეტილება.

საბჭომ განახორციელა საუკეთესო პრაქტიკის შეჯამება, რაც მოიცავს სტუდენტური პროექტების დაფინანსებას, სტუდენტური ჟურნალების სერიას შედეგების გამოქვეყნებისთვის და სტუდენტურ კონფერენციების ორგანიზებას. აღინიშნა, რომ უნივერსიტეტში ყველა პროგრამის სტუდენტები არიან წახალისებულნი კვლევით საქმიანობაში აქტიურობისათვის. ამასთან სტუდენტები სარგებლობენ სწავლის საფასურის გადახდის ხელსაყრელი და მოქნილი სქემებით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საერთო შეფასება არც თუ ისე პოზიტიურია: კერძოდ:

1. უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3. საგანმანათლებლო პროგრამები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4. უსდ-ის პერსონალი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ვფიქრობ, რომ თსუ-მ ახალი სტანდარტების დანერგვის პროცესში სრულყოფილად ვერ შეძლო დაეკმაყოფილებინა ყველა მოთხოვნა. რაც მანიშნებელია, რომ ერთი მხრივ სტანდარტები საკმაოდ მომთხოვნია და მეორეს მხრივ უნივერსიტეტები ჯერ მზად არ არიან მწირი ფინანსური და ადამიანური რესურსების გამო საუკეთესოდ გაუმკლავდნენ მოცემულ ამოცანებს.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა ავტორიზაცია 2011 წელს გაიარა. პროგრამულ რესურსთან დაკავშირებით, დაწესებულებამ ავტორიზაციაზე წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამები, რომელშიც გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაციები არ შეესაბამებოდა ,,ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს", თუმცა დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, მათ სურდათ აღნიშნული

კვალიფიკაციების დამატება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში. საბჭომ მოუსმინა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილეს დავით კერესელიძეს სსსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის თანხმობის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაზე, შედეგად ავტორიზაციის საბჭომ იმსჯელა პროგრამულ სტანდარტთან სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების თვითშეფასების კითხვარში მითითებული სასწავლო და დამხმარე ფართებისგან განსხვავებული რაოდენობა დააფიქსირა. რიგ შენობებში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, რომლის დასრულება უნივერსიტეტის წარმომადგენელთა განცხადებით განსაზღვრული იყო უახლოეს მომავალში. უნივერსიტეტის შენობებში ძირითადი სარემონტო სამუშაოები იყო დასრულებული. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მითითებული ყველა ფართი რეგისტრირებული იყო საჯარო რეესტრში. საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი ამ შემთხვევაშიც დაკმაყოფილებულია.

ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შერჩევა ხდებოდა უმაღლესი განათლების შესახებ კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი "აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადებისა და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების" წესის შესაბამისად. თუმცა სამი კონკურსის ჩატარების ვადებში შეინიშნება ხარვეზები. ავტორიზაციის საბჭომ აღნიშნა, რომ იგი აფასებდა არა იმას, მიადგა თუ არა კონკურსის ჩატარებით რომელიმე დაინტერესებულ პირს ზიანი, არამედ რამდენად იყო ეს კონკურსი ჩატარებული კანონის მოთხოვნათა დაცვით. დაწესებულების ადმინისტრაციამ და ხელმძღვანელმა კი თავის მხრივ აღნიშნეს, რომ ავტორიზაციის ექპერტების მიერ დაფიქსირებლ შენიშვნას იზიარებდნენ. საბჭომ იმსჯელა ადამიანური რესურსის

სტანდარტთან სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია. როგორც ვხედავთ ამ დროისთვის საბჭოს ქონდა გარკვეული სახის შენიშვნები, მაგრამ არა იმდენად მნიშვნელოვანი სახის რომ ამას პრობლემა შეექმნა უნივერისიტეტის ავტორიზაციისთვის.

განმეორებითი ავტორიზაცია უნივერისტეტს მოუწია 2018 წელს. უნივერსიტეტის რექტორმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი დაფუძნებულია ჰუმბოლტიანურ მოდელზე, რაც სწავლას და კვლევას გულისხმობს, ზოგადი განათლების სპეციალიზაციას, ამასთან უნივერსალურისა და ლოკალურის ერთობლიობას. რექტორმა აღნიშნა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი კვლევითი მიმართულებით არის ერთ-ერთი პრესტიჟული სამეცნიერო რანგების მიხედვით. სწორედ უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების მიზანიც გამომდინარეობს აღნიშნულიდან, კვლევის მიმართულებით.

უსდ-ს მიმართ გამოითქვა გარკვეული სახის რეკომენდაციები სხვადასხვა მიმართულებით.

- სამოქმედო გეგმა განხორციელებისა და მონიტორინგის ხელშეწყობის მიზნით განსავითარებელია.
- ფაკულტეტის დონეზე ხარისხის კულტურის განვითარების ხელშესაწყობად გასაფართოებელია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალის პასუხისმგებლობის ფარგლები.
- რიგ პროგრამებში საჭიროა შეფასების მეთოდების მრავალფეროვნების გაზრდა.
- უნივერსიტეტმა მიიღო რეკომენდაცია ერთიანი სააპლიკაციო ფორმის არსებობის შესახებ ყველა თანამშრომლისათვის. რაც შეინახავს მონაცემებს და გააუმჯობესებს HR დეპარტამენტის საქმიანობასა და დროის მენეჯმენტს.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიიღო რეკომენდაცია კვლევითი ინსტიტუციის/ერთეულის ინტეგრაციის გაუმჯობესების მიზნით, აქტივობების განსახორციელებლად საუკეთესო გამოცდილების გასაზიარებლად.

- რეკომენდაცია ბაკალავრიატის სტუდენტთა ჩართულობისათვის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.
- შენობების გამოყენების რეკომენდაცია მეტად ეფექტიანად სტუდენტთა სასარგებლოდ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საერთო შეფასება მეტ-ნაკლებად პოზიტიურია: კერძოდ:

1) უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2) უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3) საგანმანათლებლო პროგრამები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4) უსდ-ის პერსონალი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5) სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
6) კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
7) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

შემიძლია გავიმეორო თსუ-ს შემთხვევაში გამოთქმული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმაც ახალი სტანდარტების დანერგვის პროცესში სრულყოფილად ვერ შეძლო დაეკმაყოფილებინა ყველა მოთხოვნა. რაც შეიძლება განპირობებული იყოს რამდენიმე ფაქტორით. ესენია: არასაკმარისი ფინანსური რესურსი, არასაკმარისი ტრეინინგები და შეხვედრების უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან.

შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა ავტორიზაცია ძველი სტანდარტების მიხედვით უმტკივნეულოდ გაიარა 2011 წელს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები ამ შემთხვევაში იყო დადებითი. დაწესებულებამ მიიღო გარკვეული სახის რეკომენდაციები სასწავლო ფართებთან დაკავშირებით, კერძოდ აღმოჩნდა სხვაობა თვითშეფასების კითხვარის მიხედვით დაწესებულების საერთო ფართის ოდენობასა და ადგილზე გაცნობილ დოკუმენტაციას შორის. საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა ავტორიზაცია გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს.

ახალი სტანდარტიდან გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი სრულ შესაბამისობაშია მხოლოდ სამ სტანდარტთან, მეტწილად შესაბამისობაშია ასევე სამ და ნაწილობრივ შესაბამისობაშია ერთ სტანდარტთან.

გაიცა გარკვეული სახის რეკომენდაციები კერძოდ:

- უნივერსიტეტმა ხარისხის უზრუნველყოფის, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესში მკაფიოდ უნდა ჩართოს ყველა სტრუქტურული ერთეული.
- დაინტერესებული მხარეებისთვის და ამასთან გამჭვირვალობის გასაზრდელად უნდა წარმოადგინოს კვლევის შედეგები, შეფასებები და რეკომენდაციები.
- აკადემიური პერსონალისათვის უნდა ჩატარდეს გარკვეული სახის ტრენინგები, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად სილაბუსის დიზაინის შესასწავლად, კერძოდ სწავლის შედეგებთან დაკავშირებით.
- უნივერსიტეტს ესაჭიროება გააფართოოს საერთაშორისო კავშირები სულ მცირე რამდენიმე კვლევით სფეროში.

- საბჭოს გადაწყვეტილებით უნივერსიტეტს გასავითარებელი აქვს სტრატეგია, სტუდენტთა არაფორმალურ აქტივობებში ჩართვის უზრუნველსაყოფად.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საერთო შეფასება არც თუ ისე პოზიტიურია: კერძოდ:

1. უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3. საგანმანათლებლო პროგრამები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4. უსდ-ის პერსონალი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ როგორც ზემოთ განხილულ ორი სახელმწიფო უნივერსიტეტს ასევე გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს ქონდა გარკვეული სახის ხარვეზები ავტორიზაციის პროცესში. ამ მხრივ არ განსხვავდებიან სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი

თდასუ-ს ავტორიზაცია 2015 წლის 11 მაისს გაიარა, სამ პროგრამაზე, ესენია ბიზნესის ადმინისტრირების და ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო და ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე. სადაც ასევე გამოთქმულია ექსპერტების მიერ

გარკვეული სახის შენიშვნები, მაგრამ იმ დროისთვის საკმარისი აღმოჩნდა ავტორიზაციის მისანიჭებლად.

რაც შეეხება უსდ-ების მონიტორინგის შედეგებს რომელიც განხორციელდა უკვე ახალი სტანდარტების მოქმედების დროს 2019 წლის თებერვალში უნივერსიტეტს განესაზღვრა ვადა 60 დღის ოდენობით ხარვეზების გამოსასწორებლად. საბჭოს წევრების ძირითადი რეკომენდაციები შეეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- უნივერსიტეტს ყოველთვის არ აქვს პრაქტიკაში დაგეგმილი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.
- გაიცა სტრატეგიული დაგეგმვისა და სამოქმედო გეგმების გადახედვის რეკომენდაცია.
- დამსაქმებლებთან აქტიური თანამშრომლობა:
- შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვა:
- უსდ-ს აქვს შესამუშავებელი და დასანერგი სამეცნიერო კვლევების მხარდამჭერი ღონისძიებები.
- რიგ შემთხვევებში უნივერსიტეტს არ ჰქონდა გათვალისწინებული წინა ავტორიზაციის შედეგად მიღებული რეკომენდაციები.

ამასთან თდასუ-ს წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იყო სრული, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფმა შაედგინა ორგვერდიანი სია, რომელიც უნივერსიტეტს ხელახლა უნდა წარმოედგინა, რისთვისაც კონსულტაციები გაიარა ჯგუფმა ცენტრთან. თუმცა ვიზიტის დროსაც დარჩენილი დოკუმენტაცია მაინც არ წარმოდგენილა სრულად, რაც ერთის მხრივ ხარისხის მართვის მენეჯერის ცვლილებით და მეორეს მხრივ, რა თქმა უნდა, განპირობებულია ახალი სტანდარტების ცუდად გააზრებით და კრიტერიუმების ვერ შესრულებით.

ეს კონკრეტული შემთხვევა შეგვიძლია განვიხილოთ იმის მაგალითად, რომ ახალი სტანდარტები მეტად მომთხოვნია, მათი დაკმაყოფილება კი უფრო რთული.

მოცემულ ნაწილში კონკრეტულად განვიხილეთ ოთხი უსდ-ის ავტორიზაციის პროცესები როგორც ძველი ასევე ახალი სტანდარტების მოქმედების დროს. თუმცა რეკომენდაციების შესამუშავებლად გამოყენებულია დამატებით სხვა უსდ-ის ავტორიზაციის გადაწყვეტილებები. კერძოდ: საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი.

აღსანიშნავია, რომ ავტორიზაციის პროცესში საუკეთესო შედეგი აჩვენა საქართველოს აგრარულმა უნივერსიტეტმა, რომელსაც ყველა კრიტერიუმი შეფასებული ქონდა უმაღლეს დონეზე და უსდ-ს არ ჰქონია რეკომენდაციები, მიიღო მხოლოდ რამდენიმე რჩევა.

საქართველოში ახალი სტანდარტების მოქმედების დროს, რომელიც 7 სტანდარტისა და 19 ქვესტანდარტის დაკმაყოფილებას გულისხმობს, ავტორიზაცია სულ 28 უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გაიარა. მათგან ავტორიზაცია მხოლოდ 24–მა უსდ-მ მიიღო.

ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებების ანალიზი - საკვანძო დასკვნები

გავაკეთეთ ჩამონათვალი იმ პუნქტებისა, რომელთა დაკავშრებითაც იძლევიან რეკომენდაციებს საბჭოს წევრები, რათა შემდგომში რეკომენდაციის სახით შეეძლოთ დაინტერესებულ მხარეებს წინასწარ განსაზღვროს ის სუსტი მხარეები, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში ფიქსირდება ავტორიზაციის პროცესის დროს.

- ✓ სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით, არასაკმარისი ფინანსები აქვთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს გამოყოფილი, ამასთან სტუდენტთა საყოფაცხოვრებო დახმარება დამატებით პრიორიტეტად უნდა იქცეს;
- ✓ არ არის დაგეგმილი ღონისძიებები ინტერნაციონალიზაციის კუთხით, არ ხდება გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა ჩართულობა;

- ✓ დაწესებულებებს არ აქვთ დაგეგმილი და განხორციელებული კვლევითი აქტივობები ისე რომ უპასუხოს მოთხოვნას „დაწესებულება ახორციელებს ფუნდამენტურ და/ან გამოყენებით კვლევებს/შემოქმედებით საქმიანობას, რომელსაც წვლილი შეაქვს მეცნიერულ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და ა.შ. განვითარებაში რეგიონულ, ეროვნულ და ან საერთაშორისო დონეზე.;
- ✓ უსდ-ს გასაზრდელი აქვთ კვლევებზე გამოყოფილი ბიუჯეტი, კვლევითი საქმიანობის გაძლიერების მიზნით;
- ✓ დაწესებულებს ავტორიზაციის/მონიტორინგის პროცესში არ აქვთ შემუშავებული კვლევის განვითარებისა და კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერის ეფექტური სქემა;
- ✓ უსდ-ებს არ აქვთ დამსაქმებლებთან აქტიური თანამშრომლობა;
- ✓ უსდ-ებსარ აქვს დანერგილი შეფასების თანამედროვე მეთოდები;
- ✓ უსდ-ებს აქვთ გასაუმჯობესებელი სწავლის შედეგების ფორმულირება და შინაარსი. დასამყარებელი მკაფიო კავშირი შერჩეულ სწავლის მეთოდებსა და სწავლის შედეგებს შორის;
- ✓ უნივერსიტეტებმა უნდა შეიმუშაონ პოლიტიკა და სტრატეგია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით.

რაც შეეხება უსდ-ის უშუალოდ ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს, პრეინტერვიუს დროს წარმომადგენლებს განემარტათ ინტერვიუს მიზანი, შესასწავლი საკითხის ირგვლივ დაისვა ღია კითხვები. კითხვარი შევიმუშავეთ მეორეული ინფორმაციის (საკვლევ თემასთან დაკავშირებული კანონმდებლობის, უსდ ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებების და საკითხის შესახებ არსებული სტატიების) საფუძველზე. საერთო სურათის წარმოსადგენად ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება ხარისხის სამსახურის წარმომადგენლების მიერ გაცემული პასუხები წარმოვადგინოთ ერთიანი, შეჯერებული სახით.

1.როგორ ფიქრობთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ახალი სტანდარტები ადეკვატურია საქართველოს განათლების სისტემისთვის?

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ რთულია ერთიან ჭრილში განიხილო საქართველოში არსებული ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რადგან სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. როგორც ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ახალმა სტანდარტებმა, ძველ სტანდარტებთან შედარებით, გაცილებით ბევრი მოთხოვნა წაუყენა უსდ-ებს, მაგრამ რადგან სახელმწიფოს სურვილია საქართველოს განათლების სისტემა ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის წევრი გახდეს, უნივერსიტეტებიც ვალდებულნი არიან დააკმაყოფილონ სტანდარტები, მაღალ დონეზე. აღსანიშნავია, რომ ყველა უნივერსიტეტისთვის ეს სირთულეს არ წარმოადგენს.

„რადგან ჩვენ გვინდა, რომ ვიყოთ ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის წევრები და ჩვენ მიერ გაცემული დიპლომები იყოს აღიარებული ევროპულ ქვეყნებში, ჩვენი სისტემაც შესაბამისობა უნდა მოვიდეს ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან, რომელიც ევროპის მოთხოვნებთან არის თანხვედრაში. შესაძლოა მოთხოვნა იყოს მაღალი და სისტემა ჩამორჩებოდეს, მაგრამ მიზანი სწორედ ეს არის გარე მარეგულირებელ ჩარჩოში ცვლილებების შეტანის ჩვენი აზრით, რომ უსდ-ები და ჩვენი სისტემა თანხვედრაში მოვიდეს მაღალ სტანდარტებთან“. [ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

უნივერსიტეტს, როგორც სახელმწიფო დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი როლი საქართველოს განათლების სისტემის ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის წევრად გახდომაში.

„აგრარულმა უნივერსიტეტმა იანვრის ბოლო გაიარა უპირობო ავტორიზაცია, არც ერთი რჩევა და რეკომენდაცია არ მიუღია. საუკეთესო შედეგი აქვს აგრარულ უნივერისტეტს, ამრიგად არ შემიძლია ვთქვა, რომ არ არის ადეკვატური ჩვენს

უნივერსიტეტში არსებული მდგომარეობის არ შემიძლია. აგრარული უნივერსიტეტის სტანდარტი ბევრად მაღალია სხვა უნივერსიტეტებთან შედარებით. რთული იქნება უნივერისტეტების ერთ დონეზე განხილვა, ეს დამოკიდებულია პირველ რიგში კადრებზე, ასევე სტრატეგიაზე, მისიაზე, სამოქმედო გეგმაზე, ფინანსებზე, დაფინანსებაზე". [საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„მეტწილად არის, მაგრამ ვფიქრობთ მოთხოვნათა ნაწილისთვის მზად არ არიან უსდ-ები, ეს არის მიზანი". [სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

2.როგორ ფიქრობთ რა პერიოდია საჭირო იმისთვის რომ ევროპულ სტანდარტებს რეალურად მიუახლოვდეს ქართული?

კონკრეტული პერიოდის დასახელება თუ როდის მიუახლოვდება რეალურად ევროპულს ქართული სტანდარტები უჭირთ უსდ-ებს, მაგრამ აღნიშნავენ რომ განვითარების პროცესი მიმდინარეობს და ეს მუდმივი პროცესია. ისეთი უსდ-ები, როგორც არის საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი რიგ შემთხვევაში მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დაწესებულ ნორმებს არ მიყვება და პროცესებს ხშირ შემთხვევაში წინ უსწრებს, ითვალისწინებს უცხოური უნივერსიტეტების საუკეთესო გამოცდლებას, პრაქტიკას, მათ მიდგომას, მათ პოლიტიკას და საუკეთესო მიდგომებს არგებენ საკუთარ უნივერსიტეტსა და სტუდენტებს. მნიშვნელოვანია საკითხისადმი უსდ-ების წარმომადგენლების პოზიტიური დამოკიდებულება

„კონკრეტული პერიოდის დასახელება შეიძლება გაგვიჭირდეს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ახალი სტანდარტების დამტკიცების შემდეგ უკვე ბევრად წინ წავიდნენ უსდ-ები. ვფიქრობთ მომდევნო რეავტორიზაციისთვის სრულ თანხვედრაში იქნებიან უსდ-ები ავტორიზაციის სტანდარტებთან". [ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„ნებისმიერ პროგრამის შედგენასა და დანერგვაში შევისწავლით უცხოური უნივერსიტეტების საუკეთესო გამოცდილებას, ვსწავლობთ უნივერსიტეტების პრაქტიკას,

მათ მიდგომას, მათ პოლიტიკას და აქედან საუკეთესოს, რომელიც იქნება ჩვენს სტუდენტებზე მორგებული, ასახავს მათ მოთხოვნებს და რეალობასთან შესაბამისია ვითვალისწინებთ. აქედან გამომდინარე აგრარული უნივერსიტეტი ევროპულ სტანდარტს ნამდვილად აკმაყოფილებს. ჩვენ პროგრამას არ ვაკეთებთ, იმისთვის რომ ხარისხის ცენტრმა აკრედიტაცია მოგვცეს, ეს არის მუშაობის ყოველდღიური პროცესი". [საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„ვფიქრობ 5-10 წლი დაჭირდება". [სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

3.რამდენად რეალურია ყველა სტანდარტის შესრულება? ხომ არ აწყდებით გარკვეული სახის პრობლემებს?

სირთულეების წინაშე დააყენა ახალმა მოთხოვნებმა უსდ-ები, თუმცა ყველაფერი დაძლევადია და ავტორიზაციის დროს მიღებული შენიშვნები თუ რეკომენდაციები გამოსწორდება უახლოეს მომავალში. სირთულეების წინაშე განსაკუთრებით სახელწმიფო უნივერსიტეტები აღმოჩნდნენ, რომლებსაც მწირი რესურსი აქვთ. უსდ-ები საუბრობენ მოთხოვნისა და რეალური მდგომარეობის შეუსაბამობაზე. როგორც უსდ-ები ფიქრობენ რიგ შემთხევებში სტანდარტის მოთხოვნა არის ერთი და რეალობა არის მეორე.

„გამოწვევების წინაშე იდგა უნივერსიტეტი, რადგან ავტორიზაცია მოგვიწია პირველ ტალღაში, როდესაც ახალი სტანდარტები ინერგებოდა. თსუ შეზღუდული რესურსებით აღწევს დიდ წარმატებას, არის პრესტიჟული უნივერსიტეტი როგორც საქართველოში ასევე უცხოური ქვეყნის უნივერსიტეტების რანჟირებაში, რაც შეეხება ავტორიზაციის პროცესში შენიშნულ პრობლემებს ამ მიზნით დასახულია სამოქმედო გეგმა და ამ მხრივ მიღწევადია და დაძლევადი". [ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„რეალური არის, ამაში გადაუჭრელი არ ვფიქრობ რომ იყოს რამე. მნიშვნელოვანია რეფორმის განხორციელებისას იმის გათვალისწინება რამდენად შეესაბამება არსებულ რეალობას ის მოთხოვნა, რომელსაც უწესებ უსდ. როდესაც ცნობილია სახელმწიფო

უნივერსიტეტებში არსებული მდგომარეობა, რომელიც აგრარული და თავისუფალი უნივერსიტეტებისგან ცალსახად განსხვავებულია. ალბათ იქნება სერიოზული დაბრკოლებები, თუნდაც პროგრამების განხორციელებაში. სტანდარტის მოთხოვნა არის ერთი და რეალობა არის მეორე. [საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„არსებობს გარკვეული სახის პრობლემები, მაგრამ შესრულებადია. ამისთვის საჭიროა შესაბამისი რესურსები, ფინანსები, ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით სახელმწიფო უნივერსიტეტებს აქვთ ამ მიმართულებით პრობლემა. რაც შეეხება ადმინისტრაციულ რესურს და სამეცნიერო პერსონალს ამ მხრივ ნაკლები პრობლემები არსებობს“. [სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

4.როგორ ფიქრობთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ახალი სტანდარტებით განსაზღვრული მოთხოვნები ძველ სტანდარტებთან შედარებით მეტისმეტად მკაცრი და რთულად შესასრულებელია?

აღნიშნულ საკითხთან დაკავშრებით გამოითქვა განსხვავებული მოსაზრებები უსდ-ის წარმომადგენლების მხრიდან, ერთიანი შეხედულება არ არსებობს. სამივე უსდ-ის ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენელმა განსხვავებული ხედვები შემოგვთავაზეს. 1) ახალი სტანდარტი არ არის მკაცრი, პირიქით ძველი სტანდარტი იყო მარტივი 2) ახალი და ძველ სტანდარტებს მოთხოვნებში დიდი განსხვავება არ არის და 3)ახალი სტანდარტები ძველთან შედარებით მეტისმეტად მკაცრია. მიუხედავათ განსხვავებული პასუხებისა, ყველა უსდ-ის წარმომადგენელი წარმომადგენელი თანხმდება რომ თუ უსდ-ს ექნება შესაბამისი რესურსი არ გაუჭირდება სტანდარტების დაკმაყოფილება.

„ახალი სტანდარტები კი არ არის მეტისმეტად მკაცრი, არამედ ძველი სტანდარტები იყო მარტივი. როდესაც ვლაპარაკობთ ხარისხიან განათლებაზე, უნივერსიტეტზე და სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებაზე უნივერსიტეტები სახელმწიფომ უნდა აიძულოს, რომ მაღალი სტანდარტის სერვისები შესთავაზოს“. [ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„ადრე მოქმედი საკანონმდებლო ნორმა შეიძლება უფრო მეტად ზოგადი იყო და ახლა უფრო მეტად დეტალიზებული გახდა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ დაემატა რამე ისეთი, რასაც არ მოითხოვდა“. [საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„რა თქმა უნდა მეტად მკაცრია, სიღრმისეულად აფასებს უნივერსიტეტს ახალი სტანდარტები. დაემატა ახალი პუნქტები და არც ამდენ დოკუმენტაციას არ გვთხოვდნენ ადრე“. [სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

5. უნდა მოხდეს თუ არა ტერმინების „ავტორიზაცია“ და „აკრედიტაცია“ ჩანაცვლება მათი შინაარსის უკეთ გამომხატველი „ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციით“?

„ავტორიზაცია“ და „აკრედიტაციის“ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით ერთნაირი ხედვა არსებობს ყველა უსდ-ში. ისინი მიიჩნევენ, რომ მნიშვნელოვანია არა ტერმინების ფორმა, არამედ მათი შინაარსი და მხოლოდ ტერმინების ცვლილება შედეგს არ მოგვიტანს, თუ თავად პროცესი დარჩება უცვლელი.

„ამას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა“. [ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„არამგონია დასახელებას განსაკუთრებული დატვირთვა ქონდეს თუ პროცესი იგივე იქნება“. [საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„ვფიქრობ ამას არ აქს გადაწყვეტი მნიშვნელობა, ძველად ასე ერქვა კიდეც. მთავარია პროცესი და არა ის რას დავარქმევთ“. [სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

6. როგორ ფიქრობთ სახელმწიფო დაფინანსების მიღება უნდა მოხდეს არა აკრედიტაციის, არამედ ავტორიზაციის საფუძველზე?

უსდ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესს აქვს ერთმანეთისგან განსხვავებული დატვირთვა. ავტორიზაციის პროცესში პროგრამის დეტალური შესწავლა ვერ ხერხდება, ამიტომაც

საჭიროა აკრედიტაცია, რა დროსაც საგანმანათლებლო პროგრამა შეისწავლება სიღრმისეულად. უსდ-ები მიიჩნევენ, რომ თუ ხარისხიანი განათლების მიღება გვსურს საჭიროა აკრედიტაციის პროცედურის გავლაც და მხოლოდ ამის შემდგებ მიღება დაფინანსების. თუმცა არსებობს განსხვევული ხედვაც, რომ გაერთიანდეს ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესი.

„ვფიქრობ საჭიროა აკრედიტაციის პროცესი, რადგან ავტორიზაციის დროს არ ხდება დეტალური შესწავლა. ასე რომ თუ ჩვენ გვინდა გრანტი და დაფინანსება სტუდენტმა წაიღოს იმ პროგრამაზე, რომელიც ნამდვილად მაღალი სტანდარტების არის უნდა იყოს აკრედიტაცია“. [ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„ეს არის ჯაჭვივით, როდესაც არსებობს პროგრამული აკრედიტაცია და ცალ-ცალკე პროგრამა იპოვებს არსებობისა და განხორციელების ნებართვას დაფინანსებაც ენიჭება მას. ამრიგად თუ ავტორიზაციის დროს არის პროგრამა, რომელმაც მანამდე მოიპოვა აკრედიტაცია ამ ჯაჭვიდან გამომდინარე მისი დაფინანსება იქნება შეუძლებელი, ამიტომ ერთგვარად ლოგიკურია“. [საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„ავტორიზაციის დროსაც გადიან პროგრამები გარკვეულწილად შემოწმებას და შემდეგ ისევ გადიან აკრედიტაციას. უნდა მოხდეს ერთ პროცესში მოქცევა. აკრედიტაცია უფრო უნდა იყოს ნებაყოფლობითი, უცხოური აკრედიტაციის მოსაპოვებლად და უცხოური პარტნიორების თუ სტუდენტების მოსაზიდად“. [სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

7. როგორ ფიქრობთ საჭიროა უსდ-ების ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესის გასამარტივებლად თანამედროვე მეთოდოლოგიური ლიტერატურის, სახელმძღვანელოებისა და გზამკვლევების თარგმნა/შემუშავება?

ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესის გასამარტივებლად თანამედროვე მეთოდოლოგიური ლიტერატურის, სახელმძღვანელოებისა და გზამკვლევების შემუშავება

დადებითად აისახება უსდ-ების მუშაობის პროცესზე. უსდ-ის წარმომადგენლები მიესალმებიან ლიტერატურის შემუშავებას და ტრეინინგების ორგანიზებას, თუმცა ყურადღებას ამახვილებენ ლიტერატურის შემუშავებაზე და არა თარგმნაზე, რადგან მიიჩნევენ რომ საჭიროა ქართულ კონტექსტს შეესაბამებოდეს დამხმარე ლიტერატურა.

„თუ მეტი ლიტერატურა იქნება ქართულ ენაზე ხელმისაწვდომი, რასაკვირველია, უკეთესი იქნება უსდ-ის პერსონალისთვის ვინც ჩართულია ამ პროცესში“. [ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„ერთი რეალობის მეორე რეალობასთან ჩამოტა ძალიან რთულია, მითუმეტეს ისეთ სენსიტიურ საკითხში, როგორიც განათებაა. უმჯობესია გაზრის შესწავლა, მოთხოვნილებების განსაზღვრა და საკუთარის შექმნა“. [საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„აუცილებელია სახელმძღვანელოების და ტრენინგელის ორგანიზება, გარკვეულწილად ჩატარდა ტრენინგები მაგრამ არ აღმოჩნდა საკმარისი“. [სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

8. როგორ ფიქრობთ უნდა შეეზღუდოს ხარისხის ცენტრის საქმიანობის სფერო?

საზღვარგარეთის ქვეყნებში ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ეწევიან სახელმწიფოსგან დამოუკიდებელ საქმიანობას, მათ სახელმწიფო ანიჭებს შესაბამისი საქმიანობის განხორციელების უფლებას, მაგრამ მათ საქმიანობას არ განსაზღვრას სახელწმიფო პოლიტიკა. ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი მართალია დამოუკიდებელი ორგანოა, მაგრამ ექვემდებარება საქართველოს განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ამრიგად უკეთესი იქნება ცენტრი გახდეს მეტად დამოუკიდებელი, როგორც ENQA-ს რეკომენდაციაში ვკითხულობთ.

„არ ვფიქრობ, რომ უნდა შეიზღუდოს. რამდენადაც შეხება გვაქვს თვლით რომ დამოუკიდებელი ორგანოა, თუმცა ENQA-ს ქონდა რეკომენდაციები რომ უფრო მეტად დამოუკიდებელი გახდეს“. [ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„იქ სადაც ადამიანებს აქვთ თანაბარი უფლებები და უნივერსიტეტებსაც აქვთ თანაბარი უფლებები იქ ჩემი პირადი მოსაზრებით საჯაროს სამსახურის ნაწილი იქნება ხარისხის ცენტრი თუ კერძო დიდი მნიშვნელობა არ აქვს.“. [საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„საზღვარგარეთ ასეთი ორგანიზაციები არის სრულიად დამოუკიდებელი. ჩვენთან ავტორიზაციის საბჭოც არის დამოუკიდებელი ორგანო, მაგრამ ისევ უსდ-ის წარმომადგენლები შედიან ამ საბჭოში, საზოგადოების და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც შედიან, მაგრამ არასაკმარისი რაოდენობით“. [სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

9.როგორ ფიქრობთ ახალი სტანდარტები ძველთან შედარებით მეტად უწყობს ხელს უწყობს სწავლების ხარისხის ამაღლებას და რა კუთხით?

ახალმა სტანდარტებმა ხელი შეუწყო სწავლის ხარისხის ამაღლებას, ეს იქნება სტუდენტური სერვისების, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართულობის, პერსონალის მართვის პოლიტიკის თუ ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით. განახლებულ სტანდარტებში საკმაოდ ბევრი მოთხოვნაა ჩადებული სხვადასხვა მიმართულებით, რაც მოიცავს დაწესებულების საქმიანობის ყველა ასპექტს. უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-ები ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროცედურებს და სტანდარტებს ბერკეტად მიიჩნევენ, რომლებიც უსდ-ს ავალდებულებენ ხარისხის ამაღლებას.

„განახლებულ სტანდარტებში საკმაოდ ბევრი მოთხოვნაა ჩადებული სხვადასხვა მიმართულებით, რაც მოიცავს დაწესებულების საქმიანობის ყველა ასპექტს, როდესაც აფასებენ პროგრამას, მხოლოდ მისი შინაარსი და კურიკულუმი არ ფასდება, ეს არის სტუდენტური სერვისები, პერსონალი, მატერიალური რესურსები, ხარისხის

უზრუნველყოფა. ეს ყველაფერი კარგი ბერკეტია იმისთვის, რომ თუ ამ ყველაფერს არ გააკეთებ ვერ მიიღებ აკრედიტაციას და ავტორიზაციას.“. [ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„ძირითადი მიზეზი სწორედ ეს უნდა იყოს, რომ სწავლების ხარისხი გაუმჯობესდეს და გახდეს ევროპული სტანდარტის პროპორციული“. [საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„ახალ სტანდარტებს წესრიგში მოყავს გარკვეულწილად ბევრი ფაქტორი, რაც შეეხება ხარისხს ახალი სტანდარტები კარდინალურად ვერ შეცვლის მდგომარეობას“. [სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

10.ავტორიზაციის ახალი სტანდარტები ძველთან შედარებით მეტად არის მორგებული სტუდენტთა საჭიროებებზე?

ავტორიზაციის ახალი სტანდარტების დანერგვის და რეფორმის მიზანს შეადგენდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის გაუმჯობესება და სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა. რაც თავისთავად გულისხმობს სტუდენტთა საჭიროებების და ინტერესების გათვალისიწნებას. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ახალ სტანდარტებში ისეთი სტანდარტის დამატება, როგორიცაა - სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები, სწორედ ამას მოწმობს. უსდ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებიც ადასტურებენ ზემოთგამოთქმულ აზრს, რომ ახალი სტანდარტის დამატებით ავტორიზაციის სტანდარტი მოერგო სტუდენტთა საჭიროებებს. თუმცა სხვა სტანდარტებზე, როგორიცაა ინტერნაციონალიზაციის განვითარება და კვლევა ამ შემთხვევაში უსდ-ები არ ამახვილებენ ყურადღებას.

„ახალი სტანდარტები მეტად მორგებულის სტუდენტთა საჭიროებებზე, რასაც სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებებიც მოწმობს“. [ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„უნივერსიტეტი სტუდენტების გარეშე არის ცარიელი შენობა. უნივერსიტეტის ხედვა იქნებოდა ისევე მორგებული სტუდენტთა საჭიროებებზე საერთოდ რომ არ არსებობდეს აკრედიტაცია/ავტორიზაციის პროცესი“. [საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„სტუდენტთა საჭიროებებზე მეტად არის მორგებული, ცალკე პუნქტად არის გამოტანილი სტუდენტთა საჭიროებები და ამ თვალსაზრისით სტანდარტი გიჩვენებს მიმართულებას“. [სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

11. როგორ ფიქრობთ რა პერიოდია საჭირო იმისთვის, რომ სტუდენტთა განათლების ხარისხი გაუმჯობესდეს?

სტუდენტთა განათლების ხარისხი მუდმივად გაუმჯობესების პროცესში უნდა იყოს და უნივერსიტეტი მუდმივად მუშაობდეს ამ მიმართულებით. ეს არ არის პროცესი, რომელსაც აქვს დასაწყისი და დასასრული. ავტორიზაციის ახალი სტანდარტების ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ სტუდენტთა განათლების ხარისხის გაუმჯობესებაა, მაგრამ კონკრეტული პერიოდი თუ რა დროში გაუმჯობესდება რთული დასასახელებელია უსდ-ების წარმომადგენლების მხრიდან.

„ხარისხის გაუმჯობესება არის მუდმივი პროცესი, ეს არ არის ერთი პროცესი, რომელიც დაიწყება და რაღაც პერიოდში დასრულდება, ვფიქრობთ რომ წლიდან-წლამდე უნდა უმჯობესდებოდეს“. [ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„ზოგადად საქართველოში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით გამიჭირდება კონკრეტული ვადის განსაზღვრა“. [საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„ვფიქრობ ხარისხი გაუმჯობესდება, მაგრამ დრო დაჭირდება სტუდენტთა სერვისების გაუმჯობესებას. გვაქვს დარგები სადაც ტექნოლოგიური თვალსაზრისით გაუმჯობესებას დაჭირდება დრო. ამისთვის გარკვეული ფინანსური სახსრები იქნება საჭირო, რისთვისაც სახელმწიფო უნდა დაგვეხმაროს“. [სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

12. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებების კუთხით რა აქტივობები ხორციელდება თქვენს უნივერსიტეტში? უმთავრესად მოწყვლად და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სტუდენტებზე ზრუნვის კუთხით და როგორ ხდება აქტივობების ილუსტრირება?

უსდ-ები ხელს უწყობენ მოწყვად და განსაკუთრებული საჭიროების მქონე სტუდენტებს, აქვთ სოციალური დახმარების მექანიზმები სტუდენტებისთვის, რაც მოიცავს ფინანსურ მხარდაჭერას. განსხვავებული მდგომარეობაა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა უნივერსიტეტებში. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი სტუდენტებს თავაზობს სტუდენტების დეკანს, სტუდენტურ ოფისს, კარიერის დაგეგმვის მენეჯრს, სტუდენტებთან და აბიტურიენტებთან ურთიერობის ოფისს, რაც მოიცავს სტუდენტური ცხოვრების და საჭიროებების ყველა ასპექტს. ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორცილებს პროექტს „საორიენტაციო კვირები პირველკურსელებისთვის “, რაც დაეხმარება სტუდენტებს უნივერსიტეტში არსებული სიტუაციის უკეთ გააზრებასა და გარემოს ადაპტაციაში. ამასთან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს ყველა უნივერსიტეტი სთავაზობს ადაპტირებულ გარემოს.

„გვაქვს შემუშავებული სოციალურად მოწყვადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები, რომლებიც გულისხმობს ფინანსურ მხარდაჭერას, რაც შეეხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს ჩვენ მუდმივად ვზრუნავთ გავაუმჯობესოთ მათთვის ადაპტირებული გარემო და ყველა კორპუსში იყოს სრულად ადაპტირებული გარემო მათთვის“. „ახალი სასწავლო წლიდან დაიწყება ახალი საორიენტაციო კვირები

პირველკურსელებისთვის, როდესაც უკვე უფროსკურსელები თვითონ გაუწევენ ტუტორობას, იქნება საორიენტაციო კვირები.“. [ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„გვყავს სტუდენტების დეკანი, გვაქვს სტუდენტური ოფისი, რომლის შემადგელობაში კარიერის დაგეგმვლის მენეჯერიც შედის, სტუდენტებთან და აბიტურიენტებთან ურთიერობის ოფისი, რომლებიც სტუდენტებთან ერთად გეგმავენ ღონისძიებებს, რომლებიც თითქმის ყოველდღე იმართება. ასევე გამომცემლობებისა და ღონისძიებების ორგანიზატორი. არსებობს კონფუცის ინსტიტუტი, რომელიც თავისუფალ უნივერსიტეტშიში ახორციელებს თავის საქმიანობას. გარდა ამისა ხშირად იღებენ მონაწილეობას სტუდენტები ოლიმპიადებში მონაწილეობას და გაცვლით პროგრამებში“. [საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„უნივერსიტეტს აქვს პროექტები, რომლებიც მოწყვად ჯგუფებს ეხმარება. სტუდენტურ ორგანიზაციასაც აქვს გარკვეული თანხები, საიდანაც ასევე შესაძლებელია დაფინანსების მიღება. ასეთი სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი სტუდენტურ ცხოვრებაში“. [სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

13. ხდება თუ არა თქვენს უნივერსიტეტში სტუდენტების ჩართვა სრულ და თანასწორ წევრებად სამუშაო ჯგუფების მუშაობის ყველა ასპექტში, მათ შორის, სტრატეგიის დაგეგმვაში, მისიის შედგენაში და ა.შ. ?

სტუდენტების ჩართვა სამუშაო ჯგუფებში ხდება ყველა უსდ-ში, რაც შესაბამისი რეგულაციებით განისაზღვრება. უსდ-ის სტუდენტები მონაწილეობას იღებენ პროგრამების შემუშავებაში, სტრატეგიის დაგეგმვაში და მისიის შედგენაში, მაგრამ როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენლები აღნიშნავენ რთულია რამდენიმე სტუდენტის გამორჩევა, თუმცა ამ მიმართულებით ტარდება შეხვედრები ფოკუს-ჯგუფებთან, უტარდებათ სტუდენტებს გასაუბრებები და ინდივიდუალური ინტერვიუები.

„თსუ-ს შიდა რეგულაციებით განსაზღვრულია და ხდება სტუდენტების ჩართვა ყველა პროცესში მათ შორის პროგრამების შემუშავებაში, ყველა სტუდენტის ჩართვა, რასაკვირველია ვერ მოხდება. როდესაც ვიმუშავებთ პროგრამას იქ აუცილებლად ჩართულია ერთი სტუდენტი მაინც. ყველა სამუშაო ჯგუფში არის წარმოდგენილი სტუდენტი და კურსდამთავრებული“. [ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„კონკრეტულად სტრატეგიის წერის პროცესში არ სხედან სტუდენტები, რაც არამგონია საჭირო იყოს, როდესაც სტუდენტური ოფისი მუდმივად გამოკითხვებს ატარებს მათი საჭიროებების გაგების მიზნით. რთულია 5000 სტუდენტიდან გამოარჩიო ერთი, რომლსაც ჩართავ სტრატეგიის დაწერაში. მუდმივად ვატარებთ ფოკუს-ჯგუფებს, გასაუბრებებს, ინდივიდუალურ ინტერვიუებს“. [საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„ჩვენს უნივერსიტეტში მისიის და სტრატეგიის შემუშავებაში დიდი ჯგუფები მონაწილეობდნენ. პროცესში ჩართული იყო აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები, სადაც შედიან სტუდენტები და ამ მხრივ ხდება მათი ჩართვა. სტუდენტური ორგანიზაციაც აქტიურად იყო ჩართული პროცესში“. [სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

14. თქვენს უნივერსიტეტში ბაკალავრიატის სტუდენტები ჩართულნი არიან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში? გაგვაცანით თქვენი უნივერსიტეტის ხედვა აღნიშნულთან დაკავშირებით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მართავენ სამეცნიერო კონფერენციებს, რთავენ სტუდენტებს ლაბორატორიულ სამუშაოებში და კონკურსებში, თუმცა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენლის თქმით პროცესები ახლა იწყება, რაც თავის მხრივ არ არის კარგი მაჩვენებელი და ამ მხრივ უნივერსიტეტს აქვს სამუშაოები ჩასატარებელი. დამატებით აღვნიშნავთ, რომ კონფერენციებში მონაწილოების მიღება ნებაყოფლობითია და სტუდენტების უმრავლესობა

არ იღებს მონაწილეობას, უნივერსიტეტის მხრიდან კარგი გადაწყვეტილება იქნება ყველა სტუდენტის ჩართვა სპეციალობების მიხედვით ლაბორატორიულ სამუშაოებში.

„ხშირად იმართება სამეცნიერო კონფერენციები, კონკურსები, იბეჭდება კრებულები“. [ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„განსაკუთრებით აგრარული მიმართულების სტუდენტები მუდმივად ჩართულები არიან, მუშაობენ ლაბორატორიებში, ლაბორატორიულ სამუშაოებს ატარებენ ლექტორებთან ერთად, იღებენ მონაწილეობას სტუდენტურ კონფერენციებში, სამეცნიერო აქტივობებში აქვთ მუდმივი ხელშეწყობა.“. [საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„ნაწილობრივ ხდება სტუდენტების ჩართვა, შექმნილია სამეცნიერო ჯგუფები ტარდება შეხვედრები. ამ მხრივ ხდება პროცესის გარკვეული დოზით დაწყება“. [სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

15. საქართველოს ხარისხის უზრუნველყოფის აკრედიტაცია/ავტორიზაციის სტანდარტებში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ევალება საერთაშორისო ურთიერთობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა. თქვენს უნივერსიტეტში ეს რა გავლენას ახდენს შიდა პროცესებზე? დადებითი და უარყოფითი მახასიათებლები?

ის აქტივობები, რაც კერძო და საჯარო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხორციელდება ინტერნაციონალიზაციის და საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების კუთხით, მიზერული განსხვევებების გარეშე, ჰგავს ერთმანეთს.

უსდ-ები ხელს უწყობენ საერთაშორისო ურთიერთობისა და ინტერნაციონალიზაციის განვითარებას. სტუდენტები აქტიურად იღებენ მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში. უნივერსიტეტის თანამშრომლები და აკადემიური პერსონალი აქტიურადაა ჩართული ინტერნაციონალიზაციის პროცესში, მონაწილეობას იღებენ კონფერენციებში ამ მხრივ ხდება ევროპული გამოცდილების გაზიარება და შემდეგ სამსახურის თანამშრომლების

მხრიდან საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება თანამშრომლებისათვის, ყველა საფეხურზე და ყველა სტრუქტურულ ერთეულში. უსდ-ები პროცესებს დადებითად აფასებენ უარყოფით მხარედ შეიძლება კრედიტების აღიარების პრობლემა დასახელდეს.

„საერთაშორისო ურთიერთობებს და ინტერნაციონალიზაციის პროცესს არ შეუძლია უარყოფითი შედეგი მოიტანოს. ხშირ შემთხვევაში ხდება ფინანსების მოძიება ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით. საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი აქვს უნივერსიტეტს საერთაშორისო თანამშრომლობით გამოქვეყნებულ კვლევებში. თსუ-ს ძლიერი მხარეა ინტერნაციონალიზაცია. ხდება ევროპული გამოცდილების გაზიარება და შემდეგ სამსახურის თანამშრომლებს მოაქვთ საუკეთესო პრაქტიკა უზიარებენ თანამშრომლებს, ეს ხდება ყველა საფეხურზე და ყველა სტრუქტურულ ერთეულში“. [ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„უნივერსიტეტს აქვს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, რომელსაც მუდმივი ურთიერთობა აქვს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმატებულ უნივერსიტეტებთან. პროცესი არის დინამიური, მუდმივი და ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი. რაც შეეხება უარყოფით მხარეებს ეს შეიძლება იყოს გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტებს ჩამოსვლის შემდეგ დამატებული სწავლის წელი. დადებითია დანარჩენი ყველაფერი რაც ამ პროცესთან არის დაკავშირებული გამოცდილების მიღების ჩათვლით“. [საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„გვაქვს ბევრი გაცვლითი პროექტი, ტარდება მუდმივი შეხვედრები, სურვილი გაქვს სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროექტებში, აქტიურად ვიყოთ ჩართული ინტერნაციონალიზაციის პროცესში, როგორც სტუდენტების ასევე პროფესურის მხრივ. საერთაშორისო კონფერენციებში იღებს მონაწილეობას უნივერსიტეტის პროფესურა, რასაც აფინანსებს უნივერსიტეტი. ამ მხრივ ხდება თანხების გამოყოფა“. [სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

16.ინტერნაციონალიზაციის განვითარების მიზნით რა პროცედურებს და სტრატეგიებს იყენებთ უნივერსიტეტში?

ყველა უნივერსიტეტში დანერგილია ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, უსდ-ებს აქვთ საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამნეტები. გარდა ამისა უსდ-ის ყველა სტრუქტურული ერთეული პასუხისმგებელია ინტერნაციონალიზაციაში წვლილის შეტანაზე. უსდ-ები ითვალისწინებენ უცხოურ პრაქტიკას. აღსანიშნავია, რომ ინტერნაციონალიზაციის პოპულარიზაცია აუმჯობესებს სასწავლო პროცესს. ინტერნაციონალიზაციას შეუძლია გავლენის მოხდენა შიდა პროცესებზე და განსაკუთრებით უნივერსიტეტის ღირებულებებზე. საქართველოში არსებული ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის პრაქტიკაში განხორციელების ძირითადი აქტივობები შეგვიძლია კატეგორიებად დავყოთ, ესენია: სტუდენტების გაცვლითი პროგრამები, პერსონალის გაცვლითი, პროგრამები და კვლევითი პროექტები.

„გვაქვს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი. ყველა სამსახური პასუხისმგებელია ინტერნაციონალიზაციაში წვლილის შეტანაზე, მათ შორის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული - ფაკულტეტი, აკადემიური საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ვცდილობთ ჩავერთოთ პროექტებში, სადაც ხდება საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. აქტიურად გვაქვს დანერგილი პრაქტიკა უცხოელი ექსპერტების მიერ ჩვენი პროგრამების შეფასების“. [ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„ჩვენი სტრატეგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ინტერნაციონალიზაცია. რაც საქართველოს დონის ქვეყნისთვის უნდა იყოს ძალიან მნიშვნელოვანი. თითოეული პროგრამის შექმნის დროს დგება სამუშაო ჯგუფი და სწავლობს რას ასწავლიან სხვა უნივერსიტეტებში, რა მიდგომები აქვთ და შემდგომში ვცდილობთ მოვარგოთ საუკეთესო პრაქტიკა ჩვენი სტუდენტებისა და არსებული მდგომარეობის მოთხოვნებს“. [საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„უნივერსიტეტში შემუშავებული გვაქვს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც გულისხმობს სახსრების მოზიდვას სხვადასხვა ორგანიზაციებიდან, პროფესორების მოწვევას, გრანტებში მონაწილეობას. პროცესში ჩართულები ვართ ინტენსიურად, მეტის გაკეთებაც შესაძლებელია, მაგრამ ამ დროისთვის რაც შეგვიძლია ვაკეთებთ“. [სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

17. ინტერნაციონალიზაციის განვითარებას რა რისკები და სარგებელი მოაქვს უმაღლესი განათლების ხარისხისთვის?

ინტერნაციონალიზაციის განვითარების რისკად უსდ ასახელებენ მხოლოდ ფინანსურ რესურს, თუმცა თავის მხრივ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის სწორად წარმართვას შეუძლია ფიფანსური სარგებელი მოუტანოს უსდ-ებს. სახელმწიფო უნივერსიტეტებისთვის ერთ-ერთი პირველი პრეროგატივაა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელება, თუმცა კერძო უნივერსიტეტები ამ პოლიტიკას ვერ ვიტყვი რომ ავტორიზაციის სტანდარტების ანგარიშვალდებულების გამო ატარებენ, მაგრამ არ აქვთ განვითარებული ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ისეთ მაღალ დონეზე, თუნდაც როგორც თსუ-ს.

„რაც შეეხება რისკებს, როგორც აღვნიშნეთ, ყველაფერი დადებითი მოაქვს ინტერნაციონალიზაციის პროცესს, მათ შორის გამოცდილების გაზიარება, რისკად შეიძლება ფინანსური რესურსი დასახელდეს.“. [ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„რისკებად შეიძლება განვიხილოთ ფინანსური ნაწილი, დანარჩენი ყველაფერი ამ შემთხვევაში იქნება სარგებელი, რომელი უნივერსიტეტებისკენაც გვაქვს გეზი, მათი გამოცდილების გაზიარება ყველა შემთხვევაში დადებითად აისახება როგორც უნივერსიტეტზე, ასევე, თითოეულ სტუდენტზე და პროფესორ-მასწავლებლებზე“. [საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„სარგებელი უდიდესია, სტუდენტი იძენს უცხოურ გამოცდილებას, ვითარდება ურთიერთობები. რაც შეეხება რისკებს ნაკლებად“. [სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

18. რამდენად მნიშვნელოვანია ინტერნაციონალიზაციის პროცესი უნივერსიტეტის პირველობისთვის?

უსდ-ების წარმომადგენლები თანხმდებიან რომ უნივერსიტეტის პირველობისთვის უმნიშვნელოვანესია ინტერნაციონალიზაციის პროცესი. საქართველოს მიზანია გახდეს ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის სრულფასოვანი წევრი და ამ მიზანს უნდა ემსახურებოდნენ უსდ-ები.

„საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოს მიზანია გახდეს ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის სრულფასოვანი წევრი და ეს ყველაფერი ინტერნაციონალიზაციის გარეშე წარმოუდგენელია. ინტერნაციონალიზაცია დაკავშირებულია ფინანსური რესურსების მოზიდვასთანაც. ყველა უსდ-ისთვის უნდა იყოს პრიორიტეტული, რათა წარმოჩინდნენ საერთაშორისო სივრცეში და დაიმკვიდრონ თავიდან მოიპოვონ რეპუტაცია“. [ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან საქართველოში სტანდარტს სახელმწიფო უნივერსიტეტები ადგენენ, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენთვის სტანდარტი საქართველოში არსებული სახელმწიფო უნივერსიტეტების პოლიტიკა ვერ არის. ამდენად ჩვენი სამიზნე არის დასავლური და ამერიკული უნივერსიტეტები და მათი გამოცდილება და მათი პოლიტიკა“. [საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„უმნიშვნელოვანესია, ერთ-ერთი ძირითადი პროცესია, სხვანაირად ვერ მოხდება განვითარება. ამრიგად ჩვენ ვახალისებთ უცხოურ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებს, სადაც სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელის გაჟღერება უკვე წევს რეიტინგს“. [სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

19. გამოყავით სტანდარტის დადებითი მხარეები.

უსდ-ების წარმომადგენლების დამოკიდებულება ავტორიზაციის ახალი სტანდარტებისადმი ზოგადად პოზიტიურია. უსდ-ებს ესმით, რომ აღნიშნული პროცესები სწავლის ხარისხის გაზრდას უწყობს ხელს და საქართველოს უსდ-ებს აახლოებს ევროპულ სტანდარტთან. ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლები მიიჩნევენ ავტორიზაციის სტანდარტებს დაემატა ახალი პუნქტები და ქვეპუნქტები, რომლებიც უფრო სრულყოფილად აფასებენ უსდ-ს.

„ავტორიზაციის ახალ სტანდარტებში გაჩნდა ისეთი პუნქტები რომლებიც აქამდე არ არსებობდა, რომლებიც თავის მხრივ განვითარებას გვიჩვენებს“. [ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„დადებით მხარედ შეიძლება იმ უნივერსიტეტებისთვის აღვიქვათ, რომლებიც რაღაც მხრივ უმართავები იყვნენ და ამან წესრიგში მოიყვანა პროცესი“. [საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„რაც შეეხება, მისიას, სტრატეგიულ განვითარებას, კვლევას, ინფრასტრუქტურას რასაკვირველია აუცილებელია. დადებითად ვაფასებ იმ ფაქტს, რომ პროცესის დროს ხდება არა უნივერსიტეტების შედარება, არამედ შენ გადარებენ საკუთარ თავს, ხდება შეფასება იმის რის დემონსტრირებასაც აკეთებ თავად. ეს მიდგომა მოსაწონია“. [სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

20.დაასახელეთ უარყოფითი შედეგები რა რისკებს შეიცავს ისინი?

უსდ-ები ახალი სტანდარტების უარყოფით მხარედ ასახელებენ დამატებულ პუნქტებს, როგორიცაა პერსონალის პოლიტიკის ნაწილი, რომლის დასაკმაყოფილებლადაც უსდ-ები არ იყვნენ მზად. უსდ-ები აღნიშნავენ რომ ახალ პუნქტებთან დაკავშირებით არ იყო მიწოდებული საკმარისი ინფორმაცია მათთვის. ამიტომ საჭიროა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ორგანიზება გაუწიოს ტრეინინგების ციკლს, დაგეგმოს შეხვედრები და ინდივიდუალური გასაუბრებები უსდ-ის წარმომადგენლებთან.

„ პერსონალის პოლიტიკის ნაწილი დაემატა ავტორიზაციის სტანდარტს, ამისთვის უსდ-ები არ იყვნენ მზად, საჭირო იყო მეტი შეხვედრა, ტრეინინგი, განმარტება თუ რას მოითხოვდა. კარგი იქნებოდა ამ მხრივ მუშაობა თითქმის ახალი იყო პერსონალის მართვის პოლიტიკა ძალიან ბევრი უნივერსიტეტისთვის და ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა. მაღალი მოთხოვნა დაუწესა კვლევის კუთხით დაწესებულებებს, თუ დასკვნებს გადავხედავთ ეკონომიკურ აგენტებთან თანამშრომლობას ან მოზიდული შემოსავალს ჯერ უჭირთ საქართველოს უსდ-ების ეკონომიკურ აგენტებთან თანამშრომლობა და შემოსავლის მოძიება. ვფიქრობ რომ კვლევითი ნაწილი ერთნაირი არ უნდა იყო ყველა უსდ-ისთვის, რადგან ჩვენ გვაქვს კოლეჯები, სასწავლო უნივერსიტეტები და უნივერსიტეტები, ალბათ კვლევითი საქმიანობა და მისი პროდუქტები ერთი დოზით არ უნდა მოეთხოვებოდეს ყველას. ვფიქრობ არ იქნება ცუდი გაიმიჯნოს რა მოეთხოვება უნივერსიტეტს და რა არ მოეთხოვება სასწავლო უნივერისტეტს“. [ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„რისკებად ისევ ფინანსური ნაწილი შეიძლება განვიხილოთ, რისკები შეიძლება ასევე იყოს რეალობდან აცდენა, რასაც ვალდებული ხარ შეუსაბამო შენი პროგრამა და მოარგო. ეს უარყოფითი მახრეა ისეთი უნივერსიტეტებისთვის, როგორც ჩვენია, მაგრამ სხვებისთვის შეიძლება ეს იყოს კომფორტული გააკეთო ის ზუსტად რასაც გეუბნებიან“. [საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური]

„ბევრი პუნქტი დოკუმენტში არის არაფრის მომცემი. დოკუმენტაცია, რომელიც ავტორიზაციის დროს მოითხოვეს უნივერსიტეტიდან იყო იმდენად დიდი მოცულობის, რისი წაკითხვა და გაანალიზება ასეთ მცირე დროში შეუძლებლად მიმაჩნია. არ არის საჭირო ამდენი დოკუმენტის მოთხოვნა, როგორიცაა მაგალითად: წიგნების შესყიდვების მიღება-ჩაბარების აქტები დაახლოებით 6 წლის. დიდი უნივერსიტეტის დოკუმენტაციის შესწავლა შეუძლებელია. ბევრი პუნქტი ფორმალურად მიმაჩნია“. [სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური].

დასკვნები

შევაჯამოთ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ძველი და ახალი სტანდარტების შეპირისპირებითი ანალიზისთვის ჩატარებული კვლევის შედეგები.

უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებული მდგომარეობაა საქართველოში არსებულ სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებში ავტორიზაციის სტანდარტების ცვლილებით გამოწვეულ შედეგებში. სახელმწიფო უნივერსიტეტები მწირი ფინანასური რესურსის ფარგლებში ვერ ახერხებენ სტანდარტების სრულყოფილად დაკმაყოფილებას, მაღალშემოსავლიანი კერძო უნივერსიტეტებისგან განსხავებით.

კვლევამ აჩვენა, რომ უსდ-ებს ჭირდებათ გარკვეული პერიოდი (დაახლოებით 5-10 წელი) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ახალ სტანდარტებში ჩადებული მოთხოვნების სრულყოფილად დასაკმაყოფილებლად და ევროპულ სტანდარტებთან რეალურად მიახლოებასთან.

უსდ-ს შეექმნათ გარკვეული სახის პრობლემები ავტორიზაციის პროცესში, რაც გამოწვეულია ფინანსური რესურსის, მატერიალური რესურსის, ინფრასტრუქტურის არასახარბიელო მდგომარეობით. როგორც უსდ-ები ფიქრობენ რიგ შემთხევებში სტანდარტის მოთხოვნა არის ერთი და რეალობა არის მეორე.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ უსდ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების აზრით, ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესს აქვს ერთმანეთისგან განსხავებული დატვირთვა. ავტორიზაციის პროცესში ვერ ხერხდება პროგრამის დეტალური შესწავლა, ამიტომაც საჭიროა აკრედიტაცია, რა დროსაც საგანმანათლებლო პროგრამა შეისწავლება სიღრმისეულად. უსდ-ები მიიჩნევენ, რომ თუ ხარისხიანი განათლების მიღება გვსურს საჭიროა აკრედიტაციის პროცედურის გავლაც და მხოლოდ ამის შემდეგ მიღება დაფინანსების. ამრიგად ავტორიზაცია-აკრედიტაცია უსდ-ებისთვის კარგად გააზრებული პროცესებია.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ უსდ-ებს ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესის გასამარტივებლად ესაჭიროებათ თანამედროვე მეთოდოლოგიური ლიტერატურის, სახელმძღვანელოებისა და გზამკვლევების შემუშავება.

აღსანიშნავია, რომ ახალმა სტანდარტებმა ხელი შეუწყო სწავლის ხარისხის ამაღლებას, ეს იქნება სტუდენტური სერვისების, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართულობის, პერსონალის მართვის პოლიტიკის თუ ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით. მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი უსდ-ებს.

რაც შეეხება ინტერნაციონალიზაციის პროცესს, ყველა უსდ-ში მიმდინარეობს. გაცვლითი პროგრამების რიცხვით მოწინავე ადგილს იკავებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინტერნაციონალიზაციის პროცესი წარმოადგენს ხელჩასაჭიდ ბერკეტს, რომლის ცვლილებითაც შეგვიძლია უნივერსიტეტში შიდა და გლობალური საკითხებით მანიპულირება, განსაკუთრებით კი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა ასპექტის.

რეკომენდაციები

- უსდ-მა, სასურველია, მეტად შეუწყონ ხელი ინტერნაციონალიზაციის განვითარებას, რომელიც ფინანსური რესურსის მოზიდვის კარგი საშუალებაა, რის საფუძველზეც შეძლებენ გააუმჯობესონ, როგორც ინფრასტრუქტურა, ასევე სწავლის ხარისხი.
- სასურველია, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა შეიმუშაოს უსდ-ებს ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესის გასამარტივებლად თანამედროვე მეთოდოლოგიური ლიტერატურა, სახელმძღვანელოები და გზამკვლევები.
- უსდ-ები მზად ყოფნას გამოთქვამენ და მიესალმებიან ფაქტს, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ორგანიზება გაუწიოს ტრეინინგების ციკლს უსდ-ის წარმომადგენლებისთვის ავტორიზაციის სტანდარტებში დამატებულ პუნქტებთან დაკავშირებით.
- უსდ-მა მეტად უნდა იზრუნონ ბაკალავრიატის სტუდენტების ჩართულობაზე სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და ამასთან უზრუნველყონ ლაბორატორიულ სამუშაოებში სტუდენტთა ჩართულობა.
- განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი საქმიანობა ხელს შეუწყობს უსდ-ის მხრიდან სანდოობის გაზრდას.
- სასურველია და დადებითად აისახება უნივერსიტეტის მუშაობაზე თუ უსდ-ების ხარისხის სამსახურებს ექნებათ ხშირი ურთიერთობა უცხოურ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან გამოცდილების გასაზიარებლად.
- უნდა მოხდეს სტუდენტების ჩართვა სრულ და თანასწორ წევრებად სამუშაო ჯგუფების მუშაობის ყველა ასპექტში, მათ შორის, სტრატეგიის დაგეგმვაში, მისიის შედგენაში, პროგრამის შემუშავებაში უსდ-მა უნდა შეიმუშაონ

სტუდენტთა რეალური ჩართულობის მექანიზმები, პროცესები არ უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ ფორმალურ დონეზე.

- უსდ-მა უნდა იზრუნონ ინტერნაციონალიზაციის განვითარებისთვის, მოახდინონ არა მხოლოდ გაცვლით პროგრამებში ჩართულობა სტუდენტების, არამედ შესთავაზონ უცხოელ სტუდენტებს საგანმანათლებლო პროგრამები, რომლიდანაც მიღებული ფინანსები დაეხმარება ინსტიტუტს განვითარებაში.
- სახელმწიფო უსდ-ის ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებს უნდა ქონდეთ თანამშრომლობითი ურთიერთობა და ახდენდნენ გამოცდილების გაზიარებას.
- მნიშვნელოვანია იმ უსდ-ის ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებმა, რომლებმაც უმაღლესი შეფასება აიღეს განახლებულ ავტორიზაციის პროცესში გაუზიარონ გამოცდილება სხვა უსდ-ებს, მოხდეს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.

ბიბლიოგრაფია

1. გეგეშიძე, თ., ნაშრომი „პოსტმოდერნისტული უნივერსიტეტის იდეა“ 2012
2. ჭკუასელი, ქ., ჭკუასელი, ი., „პედაგოგიკის საფუძვლები“ 2012 წ.
3. ბერგენის კომუნიკე 2005 წ.
4. ბერლინის კომუნიკე 2003 წ.
5. ბოლონიის დეკლარაცია 1999 წ.
6. ბუდაბეშტი-ვენის დეკლარაცია 2010 წ.
7. განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან ESG 2015 წ.
8. გრაცის დეკლარაცია 2010 წ.
9. ლისაბონის კონვენცია 1997 წ.
10. ლონდონის კომუნიკე 2007 წ.
11. ლუვენის კომუნიკე 2009 წ.
12. პრაღის კომუნიკე 2001 წ.
13. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ. 2010 წ.
14. საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება № 92, 2011 წ.
15. საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება № 93, 2011 წ.
16. საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება № 156, 2011 წ.
17. საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება № 292, 2012 წ.
18. საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება № 215, 2012 წ.
19. საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი № 12, 2011 წ.
20. საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი № 17, 2011 წ.
21. საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი № 22, 2012 წ.

22. საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი № 17, 2012 წ.
23. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. 2004 წ.
24. საქართველოს კანონი„ მეწარმეთა შესახებ“, 1994 წ.
25. სორბონის დეკლარაცია 1997 წ.
26. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩო - დუბლინის დესკრიპტორი 2005 წ.
27. უმაღლესი განათლების რეფორმის შედეგები (აღწერითი ანგარიში ბოლონიის პროცესის ინდიკატორების მიხედვით), განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, 2008.
28. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები. 2016 წ.
29. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში, უმაღლესი განათლების პოლიტიკის ანალიზი ხუთი სტრატეგიული მიმართულების მიხედვით 2013 წ,.
30. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება №53, 2018 წ.
31. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება №75, 2018 წ.
32. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება №70, 2018 წ.
33. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება №10, 2015 წ.
34. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება №90, 2018 წ.
35. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი № 10, 2018 წ.
36. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი № 18, 2018 წ.
37. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი № 15, 2018 წ.
38. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი № 27, 2018 წ.

39. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი № 5, 2015 წ.
40. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი № 25, 2018 წ.
41. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი № 8, 2019 წ.
42. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები. 2018 წ.
43. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები. 2010 წ.
44. ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტები 2005 წ.
45. Altbach, Philip, V., and Knight, J., 2007. "The internationalization of higher education: Motivations and." Journal of Studies in International Education,
46. American Academy of Arts & Sciences. 2016. Public Research Universities: Serving the Public Good.
47. Jibeen, T., Internationalization of Higher Education: Potential Benefits and Costs. 2015
48. Jibladze, E., "Running around in circles: quality assurance reforms in Georgia." Quality in Higher Education (Routledge) 2013
49. NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT OF GEORGIA, Self-Assessment Report for the ENQA Review, 2018.
50. The work of Jones (1992), Geiger)1986,1991), Levy (1986) Altbach (1998) and zumeta (1992;1996;1997)
51. Yeravdekar, Rajiv, and Gauri Tiwari. 2014. "Internationalization of Higher Education and its Impact on Enhancing Corporate Competitiveness and Comparative Skill Formation."
52. Ziegele, F., Stannek, A., - Higher Education for a Knowledge Society-The Rising Role and Relevance of Private Higher Education in Europe–Germany 2007.
53. https://matsne.gov.ge/ka/document/download/3658758/0/ge/pdf
54. https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830%23?publication=75
55. https://www.mes.gov.ge/uploads/Bologna/1%20boloniis%20deklaracia.pdf

დანართი 1

ინტერვიუ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტთან - თინათინ გაბრიჩიძესთან

პირველ რიგში უნდა აღინიშნს, რომ განახლებული სტანდარტები შემუშავდა ევროპული განათლების სივრცის ESG-ის სტანდარტების მოთხოვებთან შესაბამისად. ძველ სტანდარტებთან შედარებით გაცილებით ბევრი მოთხოვნა წაუყენა მან უსდ-ებს. თუმცა, რადგან „ჩვენ გვინდა რომ ვიყოთ ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის წევრები და ჩვენ მიერ გაცემული დიპლომები იყოს აღიარებული ევროპულ ქვეყნებში, ჩვენი სისტემაც შესაბამისობა უნდა მოვიდეს ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან, რომელიც ევროპის მოთხოვნებთან არის თანხვედრაში. შესაძლოა მოთხოვნა იყოს მაღალი და სისტემა ჩამორჩებოდეს, მაგრამ მიზანი სწორედ ეს არის გარე მარეგულირებელ ჩარჩოში ცვლილებების შეტანის ჩვენი აზრით, რომ უსდ-ები და ჩვენი სისტემა თანხვედრაში მოვიდეს მაღალ სტანდარტებთან.

კონკრეტული პერიოდის დასახელება შეიძლება გაგვიჭირდეს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ახალი სტანდარტების დამტკიცების შემდეგ უკვე ბევრად წინ წავიდნენ უსდ-ები. ვფიქრობთ მომდევნო რეავტორიზაციისთვის სრულ თანხვედრაში იქნებიან უსდ-ები ავტორიზაციის სტანდარტებთან.

გამოწვევების წინაშე იდგა უნივერსიტეტი, რადგან ავტორიზაცია მოგვიწია პირველ ტალღაში, როდესაც ახალი სტანდარტები ინერგებოდა. თსუ შეზღუდული რესურსებით აღწევს დიდ წარმატებას, არის პრესტიჟული უნივერსიტეტი, როგორც საქართველოში ასევე უცხოური ქვეყნის უნივერსიტეტების რანჟირებაში, რაც შეეხება ავტორიზაციის პროცესში შენიშნულ პრობლემებს ამ მიზნით დასახულია სამოქმედო გეგმა და ამ მხრივ მიღწევადია და დაძლევადი.

მიმაჩნია, რომ ახალი სტანდარტები კი არ არის მეტისმეტად მკაცრი, არამედ ძველი სტანდარტები იყო მარტივი. როდესაც ვლაპარაკობთ ხარისხიან განათლებაზე,

უნივერსიტეტზე და სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებაზე უნივერსიტეტები სახელმწიფომ უნდა აიძულოს, რომ მაღალი სტანდარტის სერვისები შესთავაზოს.

ამას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ხშირად ასე მოვიხსენიებთ ისედაც. როგორც პროგრამულ და ინსტიტუციურ აკრედიტაციას.

ვფიქრობ საჭიროა აკრედიტაციის პროცესი, რადგან ავტორიზაციის დროს არ ხდება დეტალური შესწავლა. ასე რომ თუ ჩვენ გვინდა გრანტი და დაფინანსება სტუდენტმა წაიღოს იმ პროგრამაზე, რომელიც ნამდვილად მაღალი სტანდარტების არის უნდა იყოს აკრედიტაცია.

ცენტრმა შექმნა ავტორიზაციის სახელმძღვანელო და ახლახანს გამოსცა აკრედიტაციის სახელმძღვანელოც, ტარდება რეგულარული შეხვედრები უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან, თუმცა თუ მეტი ლიტერატურა იქნება ქართულ ენაზე ხელმისაწვდომი, რასაკვირველია, უკეთესი იქნება უსდ-ის პერსონალისთვის ვინც ჩართულია ამ პროცესში.

არ ვფიქრობ, რომ უნდა შეიზღუდოს. რამდენადაც შეხება გვაქვს თვლით რომ დამოუკიდებელი ორგანოა, თუმცა ENQA-ს ქონდა რეკომენდაციები რომ უფრო მეტად დამოუკიდებელი გახდეს.

ვფიქრობ რომ ასეა, რადგან განახლებულ სტანდარტებში საკმაოდ ბევრი მოთხოვნაა ჩადებული სხვადასხვა მიმართულებით, რაც მოიცავს დაწესებულების საქმიანობის ყველა ასპექტს, როდესაც აფასებენ პროგრამას, მხოლოდ მისი შინაარსი და კურიკულუმი არ ფასდება, ეს არის სტუდენტური სერვისები, პერსონალი, მატერიალური რესურსები, ხარისხის უზრუნველყოფა. ეს ყველაფერი კარგი ბერკეტია იმისთვის, რომ თუ ამ ყველაფერს არ გააკეთებ ვერ მიიღებ აკრედიტაციას და ავტორიზაციას. გარე მარეგულირებელი ჩარჩოს მოთხოვნას მიყვება ყველა, მაგრამ თუ ეს სტანდარტები ვერ დგას სათანადო დონეზე, რასაკვირველია აქ ჩვენს უნივერსიტეტზე არ არის საუბარი, დაწესებულება ცდილობს გვერდი აუაროს და გაიმარტივოს საქმე. ამრიგად ახალი სტანდარტები არა მხოლოდ სწავლის, არამედ ბევრი სერვისის ხარისხის გაუმჯობესებას უწყობს ხელს.

ახალი სტანდარტები მეტად მორგებულის სტუდენტთა საჭიროებებზე, რასაც სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებებიც მოწმობს.

ხარისხის გაუმჯობესება არის მუდმივი პროცესი, ეს არ არის ერთი პროცესი, რომელიც დაიწყება და რაღაც პერიოდში დასრულდება, ვფიქრობთ რომ წლიდან-წლამდე უნდა უმჯობესდებოდეს და ხარისხის სამსახურიც ამით არის დაკავებული, რომ ყოველ წელს შეაფასოს, დაგეგმოს და იზრუნოს გაუმჯობესებაზე.

ჩვენ გვაქვს შემუშავებული სოციალურად მოწყვადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები, რომლებიც გულისხმობს ფინანსურ მხარდაჭერას, რაც შეეხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს ჩვენ მუდმივად ვზრუნავთ გავაუმჯობესოთ მათთვის ადაპტირებული გარემო და ყველა კორპუსში იყოს სრულად ადაპტირებული გარემო მათთვის. რაც შეეხება სტუდენტურ სერვისებს თსუ-ს გამორჩეულად ძლიერი მხარეა ინტერნაციონალიზაცია, გაცვლითი პროგრამები, რომლითაც უამრავი სტუდენტი სარგებლობს, ამ მხრივ თსუ გაცვლითი პროგრამების რიცხვით გამოირჩევა არამარტო საქართველოში არამედ მთლიანად აღმოსავლეთ პარტნიორობის დაწესებულებებში. ახალი სასწავლო წლიდან დაიწყება ახალი საორიენტაციო კვირები პირველკურსელებისთვის, როდესაც უკვე უფროსკურსელები თვითონ გაუწევენ ტუტორობას, იქნება საორიენტაციო კვირები. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო სკოლა, რომლის გამართვაც იყო დოქტორანტების იდეა იყო.

თსუ-ს შიდა რეგულაციებით განსაზღვრულია და ხდება სტუდენტების ჩართვა ყველა პროცესში მათ შორის პროგრამების შემუშავებაში, ყველა სტუდენტის ჩართვა, რასაკვირველია ვერ მოხდება. როდესაც ვიმუშავებთ პროგრამას იქ აუცილებლად ჩართულია ერთი სტუდენტი მაინც. ყველა სამუშაო ჯგუფში არის წარმოდგენილი სტუდენტი და კურსდამთავრებული.

ხშირად იმართება სამეცნიერო კონფერენციები, სტუდენტური კონფერენციები, კონკურსები, იბეჭდება კრებულები.

არ ვფიქრობ, რომ საერთაშორისო ურთიერთობებს და ინტერნაციონალიზაციის პროცესს შეუძლია რამე უარყოფითი შედეგი მოიტანოს. ხშირ შემთხვევაში ხდება ფინანსების მოძიება ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით. საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი აქვს უნივერსიტეტს საერთაშორისო თანამშრომლობით გამოქვეყნებულ კვლევებში. თსუ-ს ძლიერი მხარეა ინტერნაციონალიზაცია. ხდება ევროპული გამოცდილების გაზიარება და შემდეგ სამსახურის თანამშრომლებს მოაქვთ საუკეთესო პრაქტიკა უზიარებენ თანამშრომლებს, ეს ხდება ყველა საფეხურზე და ყველა სტრუქტურულ ერთეულში.

გვყვავს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამნეტი. ყველა სამსახური პასუხისმგებელია ინტერნაციონალიზაციაში წვლილის შეტანაზე, მათ შორის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული - ფაკულტეტი, აკადემიური საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ვცდილობთ ჩავერთოთ პროექტებში, სადაც ხდება საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. აქტიურად გვაქვს დანერგილი პრაქტიკა უცხოელი ექსპერტების მიერ ჩვენი პროგრამების შეფასების.

რაც შეეხება რისკებს, როგორც აღვნიშნეთ ყველაფერი დადებითი მოაქვს ინტერნაციონალიზაციის პროცესს, მათ შრის გამოცდილების გაზიარება, რისკად შეიძლება ფინანსური რესურსი დასახელდეს. ინტერნაციონალიზაციის დაკავშირებულია ფინანსური რესურსების მოზიდვასთანაც.

საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოს მიზანია გახდეს ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის სრულფასოვანი წევრი და ეს ყველაფერი ინტერნაციონალიზაციის გარეშე წარმოუდგენელია. ინტერნაციონალიზაცია დაკავშირებულია ფინანსური რესურსების მოზიდვასთანაც. ყველა უსდ-ისთვის უნდა იყოს პრიორიტეტული, რათა წარმოჩინდნენ საერთაშორისო სივრცეში და დაიმკვიდრონ თავიდან მოიპოვონ რეპუტაცია.

ავტორიზაციის ახალ სტანდარტებში გაჩნდა ისეთი პუნქტები რომლებიც აქამდე არ არსებობდა, რომლებიც თავის მხრივ განვითარებას გვიჩვენებს.

პერსონალის პოლიტიკის ნაწილი დაემატა ავტორიზაციის სტანდარტს, ამისთვის უსდ-ები არ იყვნენ მზად, საჭირო იყო მეტი შეხვედრა, ტრეინინგი, განმარტება თუ რას მოითხოვდა. კარგი იქნებოდა ამ მხრივ მუშაობა თითქმის ახალი იყო პერსონალის მართვის პოლიტიკა ძალიან ბევრი უნივერსიტეტისთვის და ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა. მაღალი მოთხოვნა დაუწესა კვლევის კუთხით დაწესებულებებს, თუ დასკვნებს გადავხედავთ ეკონომიკურ აგენტებთან თანამშრომლობას ან მოზიდული შემოსავალს ჯერ უჭირთ საქართველოს უსდ-ების ეკონომიკურ აგენტებთან თანამშრომლობა და შემოსავლის მოძიება. ვფიქრობ რომ კვლევითი ნაწილი ერთნაირი არ უნდა იყო ყველა უსდ-ისთვის, რადგან ჩვენ გვაქვს კოლეჯები, სასწავლო უნივერსიტეტები და უნივერსიტეტები, ალბათ კვლევითი საქმიანობა და მისი პროდუქტები ერთი დოზით არ უნდა მოეთხოვებოდეს ყველას. ვფიქრობ არ იქნება ცუდი გაიმიჯნოს რა მოეთხოვება უნივერსიტეტს და რა არ მოეთხოვება სასწავლო უნივერისტეტს“.

დანართი 2

ინტერვიუ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორ ნინო წიკლაურთან

ზოგადად საქართველოში არსებული უმაღლესი განათლების სისტემის ერთ ჭრილში შეფასება ჩემთვის პირადად რთულია, რადგან არსებობს სახელმწიფო უნივერისტეტები, რომლებიც ერთგვარად, შეიძლება ითქვას, სახელმწიფო პოლიტიკასაც ქმნიან განათლების სფეროში და არის კერძო უნივერსიტეტები, რომლებიც კერძო პოლიტიკას ვერ დავარქმევთ, მაგრამ ყველა უნივერსიტეტს თავისი პოლიტიკა აქვს, რომელიც არის ინტერნაციონალიზაციის შედეგი, ამდენად საქართველოში არსებული უსდ-ების ერთ ჭრილში განხილვა იქნება რთული. აგრარულმა უნივერსიტეტმა იანვრის ბოლო გაიარა უპირობო ავტორიზაცია, არც ერთი რჩევა და რეკომენდაცია არ მიუღია. საუკეთესო შედეგი აქვს აგრარულ უნივერისტეტს, ამრიგად არ შემიძლია ვთქვა, რომ არ არის ადეკვატური ჩვენს უნივერსიტეტში არსებული მდგომარეობის არ შემიძლია. აგრარული უნივერსიტეტის სტანდარტი ბევრად მაღალია სხვა უნივერსიტეტებთან შედარებით. რთული იქნება უნივერისტეტების ერთ დონეზე განხილვა, ეს დამოკიდებულია პირველ რიგში კადრებზე, ასევე სტრატეგიაზე, მისიაზე, სამოქმედო გეგმაზე, ფინანსებზე, დაფინანსებაზე. რამდენადაც დიდია სახელმწიფო უნივერსიტეტების როლი ამ საკითხში, თუმცა დაფინანსების საკითხი რამდენად მოგვარებულია უცნობია ჩვენთვის. დაფინანსებაზე არის დამოკიდებული ძალიან ბევრი რამ, ამასთან მოტივაციაზე და იმ ხარისხის პოლიტიკაზე, რომელსაც უნივერსიტეტი ატარებს.

ქართულ სტანდარტებზე საუბარი გაგვიჭირდება, შემიძლია ვისაუბრო აგრარული უნივერისტეტის მაგალითზე, სადაც ნებისმიერ პროგრამის შედგენასა და დანერგვაში შევისწავლით უცხოური უნივერსიტეტების საუკეთესო გამოცდილებას, ვსწავლობთ უნივერსიტეტების პრაქტიკას, მათ მიდგომას, მათ პოლიტიკას და აქედან საუკეთესოს, რომელიც იქნება ჩვენს სტუდენტებზე მორგებული, ასახავს მათ მოთხოვნებს და რეალობასთან შესაბამისია ვითვალისწინებთ. აქედან გამომდინარე აგრარული

უნივერსიტეტი ევროპულ სტანდარტს ნამდვილად აკმაყოფილებს. ჩვენ პროგრამას არ ვაკეთებთ, იმისთვის რომ ხარისხის ცენტრმა აკრედიტაცია მოგვცეს, ეს არის მუშაობის ყოველდღიური პროცესი.

რეალური არის, ამაში გადაუჭრელი არ ვფიქრობ რომ იყოს რამე. მნიშვნელოვანია რეფორმის განხორციელებისას იმის გათვალისწინება რამდენად შეესაბამება არსებულ რეალობას ის მოთხოვნა, რომელსაც უწესებ უსდ. როდესაც ცნობილია სახელმწიფო უნივერსიტეტებში არსებული მდგომარეობა, რომელიც აგრარული და თავისუფალი უნივერსიტეტებისგან ცალსახად განსხვავებულია. ალბათ იქნება სერიოზული დაბრკოლებები, თუნდაც პროგრამების განხორციელებაში. სტანდარტის მოთხოვნა არის ერთი და რეალობა არის მეორე. ჩვენთვის არ არის შეუძლებელი ნამდვიალდ.

ადრე მოქმედი საკანონმდებლო ნორმა შეიძლება უფრო მეტად ზოგადი იყო და ახლა უფრო მეტად დეტალიზებული გახდა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ დაემატა რამე ისეთი, რასაც არ მოითხოვდა ძველი. დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ, რადგან შეგიძლია იმ სამ სტანდარტშიც აღწერო უნივერსიტეტში არსებული მდგომარეობა.

მიმაჩნია, რომ დასახელებას არამგონია დასახელებას განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდეს თუ პროცესი იგივე იქნება.

ეს არის ჯაჭვივით, როდესაც არსებობს პროგრამული აკრედიტაცია და ცალ-ცალკე პროგარმა იპოვებს არებობისა და განხორციელების ნებართვას დაფინანსებაც ენიჭება მას. ამრიგად თუ ავტორიზაციის დროს არის პროგრამა, რომელმაც მანამდე მოიპოვა აკრედიტაცია ამ ჯაჭვიდან გამომდინარე მისი დაფინანსება იქნება შეუძლებელი, ამიტომ ერთგვარად ლოგიკურია.

როდესაც თარგმნაზე საუბარი ერთი რეალობის მეორე რეალობასთან ჩამოტა ძალიან რთულია, მითუმეტეს ისეთ სენსიტიურ საკითხში, როგორიცა განათებაა. უმჯობესია ბაზრის შესწავლა, მოთხოვნილებების განსაზღვრა და საკუთარის შექმნა.

ამ შემთხვევაში გააჩნია სახელმწიფოს, იქ სადაც ადამიანებს აქვთ თანაბარი უფლებები და უნივერსიტეტებსაც აქვთ თანაბარი უფლებები იქ ჩემი პირადი მოსაზრებით საჯაროს სამსახურის ნაწილი იქნება ხარისხის ცენტრი თუ კერძო დიდი მნიშვნელობა არ აქვს. თუმცა ქვეყანაში სადაც სახელწმიფო განათლების პოლიტიკას ქმნიან სახელმწიფო უნივერსიტეტები და ნაკლები ჩარევის საშუალება ეძლევათ კერძო უნივერისტეტებს, გადაწყვეტილების მიღებისა თუ რეფორმის გატარებაში, შესაძლებელია უფრო მეტ სანდოობას იწვევდეს სახელმწიფოსგან მისი გამოცალკევება.

ძირითადი მიზეზი სწორედ ეს უნდა იყოს, რომ სწავლების ხარისხი გაუმჯობესდეს და ევროპული სტანდარტის პროპორციული გახდეს. ჩვენი უნივერსიტეტისთვის სამი სტანდარტიც ისეთივე მნიშვნელოვანი იყო, როგორც დღეს არის შვიდი. ჩვენი მიზანი არ არის მუშაობა ექესთვის და ეს მუდმივი პროცესი აქამდეც იყო და ახლაც არის.

უნივერსიტეტი სტუდენტების გარეშე არის ცარიელი შენობა. უნივერსიტეტის ხედვა იქნებოდა ისევე მორგებული სტუდენტთა საჭიროებებზე საერთოდ რომ არ არსებობდეს აკრედიტაცია/ავტორიზაციის პროცესი.

ზოგადად საქართველოში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით გამიჭირდება კონკრეტული ვადის განსაზღვრა.

დარეგულირებულია აღნიშნული საკითხი გვყავს სტუდენტების დეკანი, გვაქვს სტუდენტური ოფისი, რომლის შემადგელობაში კარიერის დაგეგმვის მენეჯერიც შედის, სტუდენტებთან და აბიტურიენტებთან ურთიერობის ოფისი, რომლებიც სტუდენტებთან ერთად გეგმავენ ღონისძიებებს, რომლებიც თითქმის ყოველდღე იმართება. ასევე გამომცემლობებისა და ღონისძიებების ორგანიზატორი. არსებობს კონფუცის ინსტიტუტი, რომელიც თავისუფალ უნიში ახორციელებს თავის საქმიანობას. გარდა ამისა ხშირად იღებენ მონაწილეობას სტუდენტები ოლიმპიადებში მონაწილეობას და გაცვლით პროგრამებში.

კონკრეტულად სტრატეგიის წერის პროცესში არ სხედან სტუდენტები, რაც არამგონია საჭირო იყოს, როდესაც სტუდენტური ოფისი მუდმივად გამოკითხვებს ატარებს

მათი საჭიროებების გაგების მიზნით. რთულია 5000 სტუდენტიდან გამოარჩიო ერთი, რომლსაც ჩართავ სტრატეგიის დაწერაში. მუდმივად ვატარებთ ფოკუს-ჯგუფებს, გასაუბრებებს, ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

დიახ, განსაკუთრებით აგრარული მიმართულების სტუდენტები მუდმივად ჩართულები არიან, მუშაობენ ლაბორატორიებში, ლაბორატორიულ სამუშაოებს ატარებენ ლექტორებთან ერთად, იღებენ მონაწილეობას სტუდენტურ კონფერენციებში, სამეცნიერო აქტივობებში აქვთ მუდმივი ხელშეწყობა. სტუდენტების მხრიდან დიდია დაინტერესება ამ მხრივ.

უნივერსიტეტს აქვს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, რომელსაც მუდმივი ურთიერთობა აქვს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმატებულ უნივერსიტეტებთან. პროცესი არის დინამიური, მუდმივი და ჩვენთვის ძლაინ მნიშვნელოვანი. რაც შეეხება უარყოფით მხარეებს ეს შეიძლება იყოს გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტებს ჩამოსვლის შემდეგ ემატებათ სწავლის წელი. დადებითია დანარჩენი ყველაფერი რაც ამ პროცესთან არის დაკავშირებული გამოცდილების მიღების ჩათვლით.

ჩვენი სტრატეგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ინტერნაციონალიზაცია. რაც საქართველოს დონის ქვეყნისთვის უნდა იყოს ძალიან მნიშვნელოვანი. თითოეული პროგრამის შექმნის დროს დგება სამუშაო ჯგუფი და სწავლობს რას ასწავლიან სხვა უნივერსიტეტებში, რა მიდგომები აქვთ და შემდგომში ვცდილობთ მოვარგოთ საუკეთესო პრაქტიკა ჩვენი სტუდენტებისა და არსებული მდგომარეობის მოთხოვნებს.

რისკებად შეიძლება განვიხილოთ ფინანსური ნაწილი, დანარჩენი ყველაფერი ამ შემთხვევაში იქნება სარგებელი, იმიტომ რომ ჩვენ რომელი უნივერსიტეტებისკენაც გვაქვს გეზი, მათი გამოცდილების გაზიარება ყველა შემთხვევაში დადებითად აისახება როგორც უნივერსიტეტზე ასევე თითოეულ სტუდენტზე და პროფესორ-მასწავლებლებზე.

ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან საქართველოში სტანდარტს სახელმწიფო უნივერსიტეტები ადგენენ, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენთვის სტანდარტი საქართველოში არსებული სახელმწიფო უნივერსიტეტების პოლიტიკა ვერ არის. ამდენად ჩვენი სამიზნე არის დასავლური და ამერიკული უნივერსიტეტები და მათი გამოცდილება და მათი პოლიტიკა.

დადებით მხარედ შეიძლება იმ უნივერსიტეტებისთვის აღვიქვათ, რომლებიც რაღაც მხრივ უმართავები იყვნენ და ამან წესრიგში მოიყვანა პროცესი.

რისკებად ისევ ფინანსური ნაწილი შეიძლება განვიხილოთ, რისკები შეიძლება ასევე იყოს რეალობიდან აცდენა, რასაც ვალდებული ხარ შეუსაბამო შენი პროგრამა და მოარგო. ეს უარყოფითი მხარეა ისეთი უნივერსიტეტებისთვის, როგორც ჩვენია, მაგრამ სხვებისთვის ეიძლება ეს იყოს კომფორტული გააკეთო ის ზუსტად რასაც გეუბნებიან.

დანართი 3

ინტერვიუ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან რომეო გალდავასთან

მეტწილად არის, მაგრამ ვფიქრობთ მოთხოვნათა ნაწილისთვის მზად არ არიან უსდ. ეს არის მიზანი.

ვფიქრობ 5-10 წელი დაჭირდება.

არსებობს გარკვეული სახის პრობლემები, მაგრამ შესრულებადია. ამისთვის საჭიროა შესაბამისი რესურსები, ფინანსები, ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით სახელმწიფო უნივერსიტეტებს აქვთ ამ მიმართულებით პრობლემა. რაც შეეხება ადმინისტრაციულ რესურს და სამეცნიერო პერსონალს ამ მხრივ ნაკლები პრობლემები არსებობს.

რა თქმა უნდა მეტად მკაცრია, სიღრმისეულად აფასებს უნივერსიტეტს ახალი სტანდარტები. დაემატა სტანდარტები და არც ამდენს დოკუმენტაციას არ გვთხოვდნენ ადრე.

ვფიქრობ ამას არ აქს გადაწყვეტი მნიშვნელობა, ძველად ასე ერქვა კიდეც. მთავარია პროცესი და არა ის რას დავარქმევთ.

ავტორიზაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების უფლებას. აქ არის პრობლემა რადგან, ავტორიზაციის დროსაც გადიან პროგრამები გარკვეულწილად შემოწმებას და შემდეგ ისევ გადია აკრედიტაციას. უნდა მოხდეს ერთ პროცესში მოქცევა. აკრედიტაცია უფრო უნდა იყოს ნებაყოფლობითი, უცხოური აკრედიტაციის მოსაპოვებლად და უცხოური პარტნიორების თუ სტუდენტების მოსაზიდად.

აუცილებელია სახელმძღვანელოების და ტრენინგელის ორგანიზება, გარკვეულწილად ჩატარდა ტრენინგები მაგრამ არ აღმოჩნდა საკმარისი.

საზღვარგარეთ ასეთი ორგანიზაციები არის სრულიად დამოუკიდებელი. ჩვენთან ავტორიზაციის საბჭოც არის დამოუკიდებელი ორგანო, მაგრამ ისევ უსდ-ის წარმომადგენლები შედიან ამ საბჭოში, საზოგადოების და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც შედიან, მაგრამ არასაკმარისი რაოდენობით.

ახალ სტანდარტებს წესრიგში მოყავს გარკვეულწილად ბევრი ფაქტორი, რაც შეეხება ხარისხს ახალი სტანდარტები კარდინალურად ვერ შეცვლის მდგომარეობას.

სტუდენტთა საჭიროებებზე მეტად არის მორგებული, ცალკე პუნქტად არის გამოტანილი სტუდენტთა საჭიროებები და მა თვალსაზრისით სტანდარტი გიჩვენებს მიმართულებას.

ვფიქრობ ხარისხი გაუმჯობესდება, მაგრამ დრო დაჭირდება სტუდენტთა სერვისების გაუმჯობესებას. გვაქვს დარგები სადაც ტექნოლოგიური თვალსაზრისით გაუმჯობესებას დაჭირდება დრო. ამისთვის გარკვეული ფინანსური სახსრები იქნება საჭირო, რისთვისაც სახელმწიფო უნდ დაგვეხმაროს. თანხა, რომელსაც უნივერსიტეტი იღებს სტუდენტებისგან არ არის საკმარისი განვითარებისათვის. დიდი თანხებია საჭირო საერთაშორისო ურთიერთობების გასაღრმავებლად, პროფესორების მოსაწვევად, ან ჩვენი მხრიდან სტუმრობისათვის.

უნივერსიტეტს აქვს პროექტები, რომლებიც მოწყვად ჯგუფებს ეხმარება. სტუდენტურ ორგანიზაციასაც აქვს გარკვეული თანხები, საიდანაც ასევე შესაძლებელია დაფინანსების მიღება. ასეთი სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი სტუდენტურ ცხოვრებაში.

ჩვენს უნივერსიტეტში მისიის და სტრატეგიის შემუშავებაში დიდი ჯგუფები მონაწილეობდნენ. პროცესში ჩართული იყო აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები, სადაც შედიან სტუდენტები და ამ მხრივ ხდება მათი ჩართვა. სტუდენტური ორგანიზაციაც აქტიურად იყო ჩართული პროცესში.

ნაწილობრივ ხდება სტუდენტების ჩართვა, მაგალითად მათემატიკის ფაკულტეტზე გვაქვს ასეთი პრეცენდენტები, გამორჩეული ბავშვები ერთვებიან სემინარებში. შექმნილია სამეცნიერო ჯგუფები ტარდება შეხვედრები. ამ მხრივ ხდება პროცესის გარკვეული დოზით დაწყება.

გვაქვს ბევრი გაცვლითი პროექტი, ტარდება მუდმივი შეხვედრები, სურვილი გაქვს სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროექტებში, აქტიურად ვიყოთ ჩართული ინტერნაციონალიზაციის პროცესში, როგორც სტუდენტების ასევე პროფესურის მხრივ. საერთაშორისო კონფერენციებში იღებს მონაწილეობას უნივერსიტეტის პროფესურა, რასაც აფინანსებს უნივერსიტეტი. ამ მხრივ ხდება თანხების გამოყოფა.

უნივერსიტეტში შემუშავებული გვაქვს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც გულისხმობს სახსრების მოზიდვას სხვადასხვა ორგანიზაციებიდან, პროფესორების მოწვევას, გრანტებში მონაწილეობას. პროცესში ჩართულები ვართ ინტენსიურად, მეტის გაკეთებაც შესაძლებელია, მაგრამ ამ დროისთვის რაც შეგვიძლია ვაკეთებთ.

სარგებელი უდიდესია, სტუდენტი იძენს უცხოურ გამოცდილებას, ვითარდება ურთიერთობები. რაც შეეხება რისკებს ნაკლებად.

უმნიშვნელოვანესია, ერთ-ერთი ძირითადი პროცესია, სხვანაირად ვერ მოხდება განვითარება. ამრიგად ჩვენ ვახალისებთ უცხოურ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებს, სადაც სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელის გაჟღერება უკვე წევს რეიტინგს.

რაც შეეხება, მისიას, სტრატეგიულ განვითარებას, კვლევას, ინფრასტრუქტურას რასაკვირველია აუცილებელია. დადებითად ვაფასებ იმ ფაქტს, რომ პროცესის დროს ხდება არა უნივერსიტეტების შედარება, არამედ შენ გადარებენ საკუთარ თავს, ხდება შეფასება იმის რის დემონსტრირებასაც აკეთებ თავად. ეს მიდგომა მოსაწონია.

ბევრი პუნქტი დოკუმენტში არის არაფრის მომცემი. დოკუმენტაცია, რომელიც ავტორიზაციის დროს მოითხოვეს უნივერსიტეტიდან იყო იმდენად დიდი მოცულობის,

რისი წაკითხვა და გაანალიზება ასეთ მცირე დროში შეუძლებლად მიმაჩნია. არ არის საჭირო ამდენი დოკუმენტის მოთხოვნა, როგორიცაა მაგალითად: წიგნების შესყიდვების მიღება-ჩაბარების აქტები დაახლოებით 6 წლის. დიდი უნივერსიტეტის დოკუმენტაციის შესწავლა შეუძლებელია. ბევრი პუნქტი ფორმალურად მიმაჩნია.

დანართი 4

კითხვარი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის სამსახურებისათვის

მოგესალმებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებისა და მეცნიერების ფაკულტეტის სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ვატარებ კვლევას, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციასთან დაკავშირებით. გთხოვთ, გულახდილად უპასუხოთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს. წინასწარ გიხდით მადლობას კვლევაში მონაწილეობისთვის!

1. როგორ ფიქრობთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ახალი სტანდარტები ადეკვატურია საქართველოს განათლების სისტემისთვის?
2. როგორ ფიქრობთ რა პერიოდია საჭირო იმისთვის რომ ევროპულ სტანდარტებს რეალურად მიუახლოვდეს ქართული?
3. რამდენად რეალურია ყველა სტანდარტის შესრულება? ხომ არ აწყდებით გარკვეული სახის პრობლემებს?
4. როგორ ფიქრობთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ახალი სტანდარტებით განსაზღვრული მოთხოვნები ძველ სტანდარტებთან შედარებით მეტისმეტად მკაცრი და რთულად შესასრულებელია?
5. უნდა მოხდეს თუ არა ტერმინების „ავტორიზაცია“ და „აკრედიტაცია“ ჩანაცვლება მათი შინაარსის უკეთ გამომხატველი „ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციით“?
6. როგორ ფიქრობთ სახელმწიფო დაფინანსების მიღება უნდა მოხდეს არა აკრედიტაციის, არამედ ავტორიზაციის საფუძველზე?
7. როგორ ფიქრობთ საჭიროა უსდ-ებისათვის ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესის გასამარტივებლად თანამედროვე მეთოდოლოგიური ლიტერატურის, სახელმძღვანელოებისა და გზამკვლევების თარგმნა/შემუშავება?
8. როგორ ფიქრობთ უნდა შეეზღუდოს ხარისხის ცენტრის საქმიანობის სფერო?
9. როგორ ფიქრობთ ახალი სტანდარტები ძველთან შედარებით მეტად უწყობს ხელს უწყობს სწავლების ხარისხის ამაღლებას და რა კუთხით?
10. ავტორიზაციის ახალი სტანდარტები ძველთან შედარებით მეტად არის მორგებული სტუდენტთა საჭიროებებზე?
11. როგორ ფიქრობთ რა პერიოდია საჭირო იმისთვის, რომ სტუდენტთა განათლების ხარისხი გაუმჯობესდეს?

12. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებების კუთხით რა აქტივობები ხორციელდება თქვენს უნივერსიტეტში? უმთავრესად მოწყვლად და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სტუდენტებზე ზრუნვის კუთხით და როგორ ხდება აქტივობების ილუსტრირება?

13. ხდება თუ არა თქვენს უნივერსიტეტში სტუდენტების ჩართვა სრულ და თანასწორ წევრებად სამუშაო ჯგუფების მუშაობის ყველა ასპექტში, მათ შორის, სტრატეგიის დაგეგმვაში, მისიის შედგენაში და ა.შ. ?

14. თქვენს უნივერსიტეტში ბაკალავრიატის სტუდენტები ჩართულნი არიან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში? გაგვაცანით თქვენი უნივერსიტეტის ხედვა აღნიშნულთან დაკავშირებით.

15. საქართველოს ხარისხის უზრუნველყოფის აკრედიტაცია/ავტორიზაციის სტანდარტებში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ევალება საერთაშორისო ურთიერთობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა. თქვენს უნივერსიტეტში ეს რა გავლენას ახდენს შიდა პროცესებზე? დადებითი და უარყოფითი მახასიათებლები?

16. ინტერნაციონალიზაციის განვითარების მიზნით რა პროცედურებს და სტრატეგიებს იყენებთ უნივერსიტეტში?

17. ინტერნაციონალიზაციის განვითარებას რა რისკები და სარგებელი მოაქვს უმაღლესი განათლების ხარისხისთვის?

18. რამდენად მნიშვნელოვანია ინტერნაციონალიზაციის პროცესი უნივერსიტეტის პირველობისთვის?

19. გამოყავით სტანდარტის დადებითი მხარეები.

20. დაასახელეთ უარყოფითი შედეგები რა რისკებს შეიცავს ისინი?

21. რას დაამატებდით აღნიშნულ საკითხთთან დაკავშირებით?

დიდი მადლობა თანამშრომლობისთვის!..

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Psychology and Educational Sciences

Master's program **"Educational Sciences"**

Kiknadze Lela

Controversial analysis of old and new standards of authorization of higher education institutions

The thesis is fulfilled for the purpose of getting Master's academic degree in Educational Sciences

Master's thesis advisor: Rusudan Sanadze

Associate Professor of Faculty of Psychology and Educational Sciences at TSU

Tbilisi

2019